საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 1 აპრილი. 2016 წ. №60 (7952), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

თუ გვინდა, რომ პოლიტიკურ ცხოველებად არ ვიქცეთ...



ერის სასიცოცხლო სივრცე

სასიცოცხლო სივრცე ეროვნული, კულტურული და სამართლებრივი სივრცეების გარეშე ცხოველის სასიცოცხლო სივრცეა. სიცოცხლის ბუნებრივი უფლება ცხოველსაც აქვს... თუ გვინდა, რომ პოლიტიკურ ცხოველებად არ ვიქცეთ და ერთმანეთი არ დავჭამოთ, ერის სასიცოცხლო სივრცე თავისი სამსახოვნებით უნდა ვაღიაროთ და დავიცვათ.

6-7

5

ეს მერამდენედ წავაგეთ იდეოლოგიური ომი!

4

„დიდი ბიზანტიის მემკვიდრე“, „გეი როპა“, „პანკისური ბაზები“ და „ჰაგა სააკაშვილისთვის“

3

წინასაარჩევნოდ ამბიციების ამოხეთქვა დაიწყება...

ასწლოვანი ხე-ტიტა შეკვეთილის დენდროლოგიური პარკის ტერიტორიაზე დარგეს

ციხისძირიდან ტრანსპორტირებული ასწლოვანი ხე-ტიტა გურიაში, ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციის მომიჯნავე ტერიტორიაზე დარგეს, სადაც ოფიციალური ინფორმაციით, დენდროლოგიური პარკი უნდა მოეწყოს. ხე-ტიტა გუშინწინ, ღამის 11 საათისთვის დაირგო.

ციხისძირიდან ჩამოტანილი ხის შეკვეთილის სანაპიროზე გადმოტანას სპეციალისტები რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდნენ. ხის გადმოსატანად ზღვაში სპეციალური გზა გაკეთდა, რომლის დახმარებითაც, კიდევ რამდენიმე ხის გადმოტანა იგეგმება ნაპირზე.

არამზადა ნაციონალების ჯიბრზე ეს უნიკალური პროექტი ბოლომდე განხორციელდება!

დღეს პირველი აპრილია!

ბარში დარი სადარია,
მთაში ფეხი დაუცურდა კლდეზე ყინულს,
საფიქრალი რამ დალიოს,
სადღაც თოვს და
ნაფიფქარი მოაქვს ბინულს.
რა შორს დარჩა დაპირება?
რიონი სულ გადირია
და ქვებს ისვრის!
დღეს პირველი აპრილია,
მოტყუება ადვილია,
მაგრამ რისთვის?

აბა, გამოიცანი

შხამში ნალესი დანაა,
მოწამლული აქვს გენი და
ისეთი სალახანაა,
ნაკვერცხალს იღებს ენითა!

ალექსანდრე შენგელია

ჩემმა ხალხმა ნათლად აირჩია საკუთარი გზა, ღირებულებები და ხედვა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი აშშ-ში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ატლანტიკურ საბჭოში სიტყვით გამოვიდა.

„წელს ჩვენ აღვნიშნავთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავს. მე გადავწყვიტე, რომ ამ პერიოდისათვის მეწოდებინა გზა – დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ. 25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ დამოუკიდებლობა აღვადგინეთ. ერთია – გათავისუფლდე ვიღაცისაგან, მეორეა – მიაღწიო რეალურ თავისუფლებას, მიაღწიო საზოგადოების თავი-

სუფლებას, ისეთ თავისუფლებას, რომლითაც დღეს აშშ-ში სარგებლობენ, მიუხედავად შიდაპოლიტიკური მღელვარებისა. მას შემდეგ კი რაც საქართველომ მიაღწია დამოუკიდებლობას, ჩვენი მიზანია თავისუფალება. საქართველოსათვის ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენს წინაშეა საპარლამენტო არჩევნები, რეგიონში მზარდი საფრთხეები და რთული ვითარება. ჩვენ ვხედავთ საშინელ ტერორისტულ აქტებს პარიზში, ბრიუსელში, თურქეთსა და მსოფლიოს სხვადასხვაქვეყნებში. ვხედავთ თუ რა გამოწვევებია კაცობრიობის წინაშე. ეს გამოწვევები იმ სახელმწიფოების წინაშეცაა, რომლებიც ყველაზე დაცულად ითვლებიან და გაწევრიანებული არიან უსაფრთხოების თვალსაზრისით ძლიერ ალიანსებში. ვართ თუ არა მზად თვალი გავუსწოროთ რეალობას, რომ ნატოსა და მისი სახელმწიფოების უსაფრთხოება ვერ იქნება მიღწეული სხვა სახელმწიფოთა უსაფრთხოების გარეშე, ისეთების, როგორიცაა საქართველო და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები. ჩემმა ხალხმა ნათლად აირჩია საკუთარი გზა, ღირებულებები და ხედვა, რომელიც ევროატლანტიკურ და ევროპულ პრინციპებს უკავშირდება. ჩვენ ვიყავით ამ ღირებულებების ერთგულები და 25 წლის განმავლობაში, ხელისუფლებამაც და საზოგადოებამაც ბევრი გავაკეთეთ, რათა რეალურად გვეჩვენებინა ევროსტრუქტურებში გაწევრიანებისაკენ საქართველოს შეუქცევადი სწრაფვა. ამ მიმართულებით საქართველოს მნიშვნელოვანი შედეგები აქვს. ამ ეტაპზე რის გაკეთებასაც ვცდილობთ, არის ის, რომ მოვახდინოთ საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდაცია და ჩვენს მეგობრებსა და მოკავშირეებს ვაჩვენოთ, რომ მრავალი საკითხის გადაწყვეტა საქართველოს, ევროპასა და ამერიკას შორის მჭიდრო პარტნიორობასა და თანამშრომლობაშია“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ატლანტიკურ საბჭოში სიტყვით გამოსვლისას.

საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

31 მარტის რეფერენდუმის შედეგია, რომ დღეს ჩვენ დამოუკიდებელ ქვეყანას ვაშენებთ

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ მთავრობის სხდომის დაწყებამდე, 1991 წლის 31 მარტი გაიხსენა.

„25 წლის წინათ, 31 მარტს ქართველმა ხალხმა ოსებთან და აფხაზებთან ერთად გამოხატეს ნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ. სწორედ, ამ რეფერენდუმის შედეგად, რომ საქართველომ დაიწყო განვითარების ახალი ეტაპი და სწორედ ამ რეფერენდუმის შედეგია, რომ დღეს ჩვენ დამოუკიდებელ ქვეყანას ვაშენებთ.

ეს გამარჯვება არის ბევრი ადამიანის მოტანილი, მათი, ვინც ამ ძალიან მნიშვნელოვან წლებში ეროვნულ მოძრაობაში იყვნენ ჩართული, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ეს იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დამსახურება.

დღეს მას 77 წელი შეუსრულდებოდა. ჩვენ გვწამს და გვჯერა, რომ საქართველო გახდება ისეთი ქვეყანა, რომელზეც 1991 წლის 31 მარტს საქართველოს ყველა მოქალაქე ოცნებობდა. ჩვენი ამოცანა არის სწორედ ის, რომ აღვადგინოთ მომავლის იმედის ის ნაპერწკალი, რომელიც მაშინ ყველა ჩვენგანის გულში იყო. ასე რომ, დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა“, – აღნიშნა პრემიერმა.

ვეტერანთა დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტზე ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი, გენერალი კობა კობალაძე დაინიშნა. გიორგი კვირიკაშვილმა სამუშაო შეხვედრა გამართა ვეტერანთა სახელმწიფო დე-

პარტამენტის ახალ ხელმძღვანელთან. საუბარი შეეხო ვეტერანთა საკითხებს, არსებულ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს.

საკადრო წმენდა უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურში

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ პრესასთან ურთიერთობის სამსახურის ყველა თანამშრომელი გაათავისუფლა. სამსახურიდან დათხოვნის მიზეზები სასამართლოს უკვე ყოფილ თანამშრომლებს არ განუმარტეს. ამ დროისთვის უზენაესი სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში მხოლოდ ერთი თანამშრომელი ლელა ბუცხრიკიძე რჩება. როგორც პირველ რადიოსთან საუბარში, საზოგადოებასთან ურთიერთობის ყოფილმა უფროსმა ნანა ვასაძემ განაცხადა, ისინი სამსახურიდან ერთი კვირის წინათ გაუშვეს., რაც შეხება მათი დათხოვნის სავარაუდო მიზეზებს, ნანა ვასაძე ამ თემაზე განცხადებას რამდენიმე დღეში გააკეთებს. გავრცელებული ინფორმაციით, უზენაესი სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, ნინო გვენეტაძის ბრძანებით რეორგანიზაცია გამოცხადდა და ყველა ის თანამდებობა გაუქმდა, რომელსაც გათავისუფლებული თანამშრომლები იკავებდნენ. ცვლილება იმ პირებს შეეხოთ, რომლებიც უწყებაში, უზენაესი სასამართლოს წინა თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის დროს მუშაობდნენ.

„ოცნებიდან“ ბურჯანაძესთან? – რას იზამს ფორუმი?

„ეროვნული ფორუმი“ ყრილობისთვის ემზადება, პარტიის წევრებმა 3 აპრილს ფარული კენჭისყრით უნდა მიიღონ გადაწყვეტილება რა ფორმით მიიღებს „ეროვნული ფორუმი“ არჩევნებში მონაწილეობას. პოლიტიკურ კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, „ეროვნულ ფორუმი“ ნინო ბურჯანაძის პარტიასთანაც აწარმოებს მოლაპარაკებებს. დეპუტატი ანი მიროტაძე „პირველ რადიოსთან“ საუბარში „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოსთან“ ყველა სახის მოლაპარაკებებს უარყოფს და აცხადებს, რომ ნინო ბურჯანაძის პარტიასთან კონსულტაციები არც სამომავლოდ იგეგმება.

პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს უკვე ჟურნალისტებს უგზავნიან

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები ფეისბუქზე მიიღო ჟურნალისტმა ირაკლი ყურაშვილმაც. მის სახლში ჩხრეკა ჩატარდა.

პროკურატურის წარმომადგენლებმა ადგილზე შეამოწმეს ჟურნალისტის პერსონალური კომპიუტერი, რომელიც შემდეგ უკვე უწყებაში წაიღეს.

ფარული კადრების საკუთარი „ფეისბუქის“ გვერდზე ატვირთვის შესახებ გამოძიებას მიმართეს ასევე ჟურნალისტმა მაკა რაზმაძემ და ბესო ზანგურმა, რომლებიც დაკითხვაზე იმყოფებიან.

ქართველი პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი ახალი კადრების შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში გუშინ დილით გავრცელდა. რამდენიმე ჟურნალისტს ქართველი პოლიტიკოსის ყალბი პროფილით Facebook-ში ვიდეოს ინტერნეტბმულები მიაწოდეს. ვიდეოზე წვდომა ინტერნეტში უკვე შეზღუდულია.

ეკონომიკური ნახტომი 2017 წელს გვექნება!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის პროგნოზით, 2016 წელს ქვეყნის ეკონომიკა 3-3,5 პროცენტით გაიზრდება, ხოლო 2017 წელს ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში უკვე 5,5-6 პროცენტს მიაღწევს.

პრემიერმა უკვე წარმოადგინა მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმა, რომელმაც ეკონომიკური წინსვლა უნდა მოიტანოს. მთავრობის მთავარი პრიორიტეტებია: ეკონომიკური რეფორმები, ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული განათლების რეფორმა, მმართველობის რეფორმა, რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა. გიორგი კვირიკაშვილი დასძენს, რომ საქართველო ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით დიდი ნახტომისთვის ემზადება.

პრემიერის პროგნოზთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი შეხედულება აქვთ სპეციალისტებს. ეკონომიკის დოქტორი ემზარ ჯგერენაია ამბობს, რომ მთავრობის ამ პროგნოზის განხორციელების შემთხვევაშიც კი, ეს ზრდა არ იქნება საგრძნობი ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის.

– რიგითმა მოქალაქემ რომ იგრძნოს, აუცილებელია მინიმუმ 7-პროცენტიანი ზრდა. ერთ სულზე გაანგარიშებული მშპ

უნდა გაიზარდოს 4500-დან 5000 აშშ დოლარამდე, რომ რიგითმა, საშუალო, საქართველოს მოქალაქემ შეძლოს ბინის, მანქანის შეძენა, ცხოვრების პირობების მოწყობა. ჩვენ რასაც ვეძახით, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, ეს უნდა გადავიდეს და აისახოს, მოქალაქეების პირადი ცხოვრების ზრდაზე“!, – ამბობს ჯგერენაია.

ეკონომიკის ექსპერტი **მიხეილ დუნდუა** პრემიერის პროგნოზს რეალისტურად აფასებს. მისი აზრით, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, ევროკავშირში საექსპორტო პოტენციალის ზრდა და საპარტნიორო ფონდის მოდერნიზაცია, რომელიც რეგიონებში ინვესტიციების და კაპიტალდაბანდებების ზრდას გულისხმობს, ეს ყველაფერი განაპირობებს იმას, რომ საქართველოს 2017 წლიდან ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპი ექნება.

– სოფლის მეურნეობასაც აქვს მნიშვნელობა ამ ყველაფერში, რადგან უკვე 2 წელია, დაიწყო მრავალწლიანი კულტურების სტიმულირება ქვეყნის მასშტაბით, ეს საბოლოო ჯამში შესაბამისი ფინანსური შედეგის მიღებას 2017 წლიდან დაიწყებს. რამდენიმე მილიარდი დოლარის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს ინფრასტრუქტურაში, რა თქმა უნდა, ეს ეკონომიკის ზრდაზე დადებითად იმოქმედებს, დადებითად იმოქმედებს ტურისტული მიმართულებით შემოსულ თანხებზეც. დაგეგმილია საინვესტიციო აქტივობები, რომლებიც დაკავშირებულია ანაკლიის პორტთან, აბრეშუმის გზასთან, ინფრასტრუქტურულ პროექტებთან და როგორც პრემიერ- მინისტრმა დააანონსა, ძალიან მსხვილი პროექტების დაფინანსება იგეგმება.

სხვა საინვესტიციო პროექტები ევროპაში ქართული პროდუქციის ექსპორტის ზრდაზე იქნება ორიენტირებული. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში ჩვენ 3 წელიწადში ადგილობრივი წარმოების სუფთა ექსპორტის მაჩვენებელი გავაორმაგეთ. 98%-ით არის გაზრდილი 2012 წელთან შედარებით ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში.

2017 წლიდან ეკონომიკის ზრდის მაღალ ტემპს თავად სავალუტო ფონდიც მიუთითებს, თუმცა ზოგადად სავალუტო ფონდის პროგნოზი პესიმისტური პროგნოზია. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრემიერ-მინისტრის პროგნოზი რეალისტურია, – აღნიშნა დუნდუამ.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პროგნოზი 2016-17 წლებისთვის, განსხვავდება საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Moodys-ის პროგნოზისგან, რომელიც სააგენტოს ვიცე-პრეზიდენტის მოადგილე ერნესტ სერგენტიმ ინვესტორებს წინა კვირას წარუდგინა.

Moodys-ის პროგნოზით, მიმდინარე წელს, საქართველოს ეკონომიკა 3 პროცენტით გაიზრდება, ხოლო 2017 წელს მხოლოდ 4 პროცენტით. სააგენტო აღნიშნავს, რომ საშუალოვადიან პერიოდში საქართველოს ეკონომიკას აქვს კარგი პოტენციალი ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებიდან გამომდინარე.

გეძა დანელია

რასაც „რესპუბლიკელები“ ითხოვდნენ, „ქართული ოცნებისთვის“ მიუღებელი იყო?!

დარჩი წასვლამდე! – ხშირად ხუმრობით ნათქვამი ეს ფრაზა ყველაზე მისადაგებული გახდა რესპუბლიკელებისთვის. „პარტია საპარლამენტო არჩევნებისთვის ინდივიდუალური მზადების რეჟიმში გადადის, – ნათქვამია პარტიის „ეროვნული კომიტეტის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში, – ეს გადაწყვეტილება არ ნიშნავს კოალიციიდან, საპარლამენტო უმრავლესობიდან, მთავრობიდან და საკრებულოებში უმრავლესობიდან რესპუბლიკელების ავტომატურ და დაუყოვნებლივ გასვლას. რესპუბლიკელი მინისტრები მთავრობაში ყოფნის პერიოდში გააგრძელებენ პარლამენტის მიერ დამტკიცებული სამთავრობო პროგრამის შესრულებას. ამავე დროს, პარლამენტში ვითარება იქნება პირიქით, – ფრაქცია „რესპუბლიკელები“ იხელმძღვანელებენ პარტიული პოლიტიკური პრიორიტეტებით, გარდა უმრავლესობის ფორმატში წინასწარ შეთანხმებული საკითხებისა“.

ამით ახალი არაფერი უთქვამთ, რადგან დაანონსებული განცხადებების შემდეგ ყველა ელოდა, რომ „რესპუბლიკელები“ რაღაც ამდაგვარისთვის ემზადებოდნენ. **„ქართული ოცნება“ და „რესპუბლიკელები“ დღეიდან პარტნიორობა-კონკურენციის რეჟიმში გადადიან“,** – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, რომელმაც პრემიერ-მინისტრისგან პირობა მიიღო, რომ რესპუბლიკელი მინისტრები თანამდებობებზე დარჩებიან!!! ესეც მოსალოდნელი იყო, ვინაიდან ისედაც ყველასთვის ცხადია, რომ კვირიკაშვილის მინისტრთა კაბინეტში „რესპუბლიკური მთავრობა“ დასავლეთისთვის გუნდრუკის კმევას ემსახურება. შესაბამისად, ასეთი რეალობა მივიღეთ: რესპუბლიკელები სამთავრობო პასუხისმგებლობას არ გაურბიან, ანუ პრემიერ-მინისტრის ერთგული რჩებიან; არც კოალიციიდან გადიან, თუმცა, პარლამენტში იმაზე უფრო მეტად შეიქმნიან ოპოზიციურ იმიჯს, ვიდრე აქამდე.

ძნელი დასაჯერებელია, რომ პარტია „მრეწველების“ ან თუნდაც საზოგადოების მუქარამ შეაწუხა 3-პროცენტიანი ბარიერის ვერგადამლახავი პოლიტიკოსები, მაგრამ რას დაეფუძნა ასეთი პრაგმატული გადაწყვეტილება, ესეც საინტერესოა. რისი იმედი აქვთ რესპუბლიკელებს? მხარდამჭერების, რომელიც ამომრჩეველთა უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს? ამის მიუხედავად, პოლიტიკოსებიც და ექსპერტებიც რატომღაც „რესპუბლიკელთა“ ამ ნაბიჯს იწონებენ. ნაბიჯის გადადგა გასაგებია, მაგრამ რაზე აქვთ გათვლა, ან რა შედეგი იქნება?

„ეს მათი არჩევანია, – ამბობს ექსპერტი გია ხუხაშვილი, – **ისინი თანამდებობებს არ ტოვებენ, მაგრამ არჩევნებისთვის ინდივიდუალურად ემზადებიან. ქართული სინამდვილისთვის ეს ცოტა უცნაური მოდელია, მაგრამ ასეა! განსაკუთრებით სასაცილოა, როდესაც ამბობენ, რომ თავისი პარტიული დღის წესრიგით მოიქცევიან. კი, მაგრამ, სხვას აღარ ეკითხებიან?!“**

წინასაარჩევნოდ ამგზიცების ამოხეთქვა დაიწყება...

მართლაც რომ, უცნაურია „რესპუბლიკელთა“ მიდგომა... ამ ეტაპზე თითქოს ყველაფერი ერთი შეხედვით მარტივად ჩანს, მაგრამ როგორ სახეს მიიღებს ამდაგვარი პოლიტიკური თამაშები?! **„მოგეხსენებათ, მთავრობა არ არის სოლიდარული მმართველობის სისტემა და შესაბამისად, თუ არჩევნებამდე სრულად გაიზიარეს პასუხისმგებლობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, მაშინ რას დაემყარება მათი საარჩევნო კამპანია, როცა წინასაარჩევნოდ ხელისუფლების კრიტიკა მოუწევთ? საკუთარი მინისტრებს ყოლა ამ ფონზე უცნაურია! ხომ შეიძლება, მაგალითად, უსუფაშვილმა ხიდაშელი გააკრიტიკოს? ამას მარტო პოლიტიკური კი არა, ოჯახური გარჩევაც შეიძლება მოჰ ყვეს“,** – ამბობს ხუხაშვილი.

რესპუბლიკელების გადაწყვეტილებას იწონებს ექსპერტი რამაზ საყვარელიძე და მას მოქალაქეობრივად გამართულ და ვაჟკაცურ პოზიციას უწოდებს. **„რესპუბლიკელებისნაირ მაღალი რანგის პოლიტიკურ ორგანიზაციას დასაყვედრებელი რეიტინგი აღარავისგან აღარ ექნება. ისინი წინასაარჩევნო ბლოკში გაწევრებას არ აპირებენ, მაგრამ მიმდინარე პროცესში არ დატოვებენ კოალიციას და ქაოსს არ ქმნიან, ესეც მისასალმებელია!“**

„ჩვენი გადაწყვეტილება პარტია „ქართულ ოცნებასაც“ საშუალებას აძლევს, ზედმეტი უხერხულობის გარეშე დაადგეს იმ პოლიტიკურ გზას, რომელიც დასახული აქვს – არჩევნებზე დამოუკიდებლად, კოალიციური საარჩევნო ბლოკის გარეშე გასვლა. ამით ყველა ერთად დავასრულებთ უკიდურესად დამაზარალებელ და მოსაბეზრებელ საჯარო სპეკულაციებს შიდაკოალიციურ საკითხებზე“, – „რესპუბლიკელთა“ თავმჯდომარის ხათუნა სამნიძის ეს განცხადება პირდაპირ იმის მიმანიშნებელია, რომ „ქართული ოცნება“ არათუ „რესპუბლიკელებთან“, არამედ სხვა პარტიებთან ერთობასაც არ გეგმავს. თუკი მომდევნო დღეებში კოალიციაში, „ფორუმის“ ხორუმის ცეკვაც დასრულდება, სავარაუდოდ, წინასაარჩევნოდ კოალიციის მზე ჩაესვენება და „ოცნებაც“ სათრეველას ფუნქციას დაასრულებს. აქედან გამომდინარე, გოგი თოფაძის სიხარული, ალბათ, ნაადრევია, რომელიც აცხადებს: **„ერთი რამ ვიცი, „მრეწველებისა“ და „რესპუბლიკელების“ ერთად ყოფნა ძნელი იქნებოდა. ჩვენ განსხვავებული ხედვა გვაქვს“.** სტალინის ხსენება „რესპუბლიკელებს“ არ დავიწყნიათ, რომლებმაც ირიბად მიანიშნეს, რომ არც მათთვის იყო კომფორტული „მრეწველებთან“ გუნდში ყოფნა: **„სამთავრობო თანამდებობებს დავტოვებთ მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის ან პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების გამო და არავითარ შემთხვევაში – ოკუპანტი ქვეყნის, ადგილობრივი სტალინელების, ანტინატოელებისა და ვიდეოშანტაჟისტების კოორდინირებული თუ დამთხვეული ულტიმატუმების ფონზე“.**

განცხადების ამ შინაარსში უკმაყოფილება აშკარაა, უსუფაშვილი მტკიცედ აცხადებს, რომ პარტია ოპოზიციაში გადასვლას არ აპირებს, თუმცა, უკვე ალაპარაკდნენ პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენების საკითხზე, რომელსაც პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის ხმა სჭირდება, საკითხის დაყენებას კი – პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. ჯერჯერობით, უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი ამგვარი რეალობის შექმნას გამორიცხავს. მაგრამ, რა იცი, რა ხდება?

„ის, რასაც „რესპუბლიკელები“ ითხოვდნენ, როგორც ჩანს, მიუღებელი იყო „ქართული ოცნებისთვის“, – ეჭვობს „თავისუფალი-დემოკრატი“ ზურრაბ აბაშიძე, რომელიც თამამად აცხადებს, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ აღარ არსებობს. მას მიაჩნია, რომ კოალიციაში შემავალ პარტიებს არჩევნებში დამოუკიდებლად გამარჯვების ძალიან დაბალი შანსები აქვთ, ოღონდ, რა თქმა უნდა, საკუთარ პარტიას არ გულისხმობს... ნაციონალებიც მოვლენების განვითარებას „ქართული ოცნების კრიზისს“ უწოდებენ. თავად კოალიციის წევრები ამ აქტში ტრაგედიას სულაც არ ხედავენ. მეტიც, მეჭიაური „რესპუბლიკელებს“ ბარიერის გადალახვასაც კი უწინასწარმეტყველებს: **„დიდი ალბათობით, ისინი გადალახავენ ბარიერს, რადგან მათ საკმაოდ კარგად გამოიყენეს ყველა ის სახელისუფლებო რესურსი, რომელსაც ფლობენ. მათ ყველა სტრუქტურაში მომხრეები ჰყავთ დასაქმებული და, აქედან გამომდინარე, ბარიერის გადალახვა მომავალ არჩევნებში არ გაუჭირდებათ“,** – ამბობს დეპუტატი. მართალი გითხრათ, ეს ძალიან ცუდი არგუმენტია თავად ხელისუფლების წარმომადგენლისგან... ამგვარ ვარაუდებს გია ხუხაშვილი თავისი კომენტარით აქარწყლებს. ექსპერტის დასკვნა ასეთია: **„რას აცხადებენ, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ამ ქვეყანაში პროცესები „რესპუბლიკელების“ პოლიტიკური დღის წესრიგით არ მიმდინარეობს. ისინი ცდილობენ, ხაზი გაუსვან თავის მნიშვნელობას, მაგრამ ამას ხალხის ლეგიტიმაცია სჭირდება, რასაც არჩევნებში ვნახავთ. ეჭვი მეპარება, მათ ამბიციებს რაიმე საფუძველი ჰქონდეს“.**

თეა მოსია

დაფინანსეს ყოფილი პატიმრების ბიზნესიდეები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დირექტორი ირაკლი ხელაძე რეგიონებში ყოფილ პატიმართა ბიზნესგრანტების კონკურსში გამარჯვებულ ბენეფიციარებთან შეხვედრებს განაგრძობს.

უწყების ინფორმაციით, ირაკლი ხელაძე სამეგრელოს რეგიონს ესტუმრა, სადაც იუსტიციის სამინისტროს დაფინანსებით 6 ყოფილმა პატიმარმა საკუთარი ბიზნესსაქმიანობა დაიწყო. მათ შორის, აკაკი კოროშინაძემ ზუგდიდის რაიონის სოფელ ორულუში იჯარით აღებულ 2 ჰექტარ მიწის ფართობზე ჭოლანდიური ჯიშის კარტოფილი დათესა. მან გრანტის სახით 4800 ლარი მიიღო. ივნისის თვეში 30-დან 45 ტონამდე მოსავალს ელოდება. აკაკი კოროშინაძე „ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის“ ბენეფიციარია, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ ახორციელებს. ამავე პროგრამის ბენეფიციარია ბორის ფიფია, რომელმაც გრანტის სახით მიღებული 3600 ლარით მეფუტკრეობის მეურნეობა გააფართოვა. გარდა ამისა, რამდენიმე ყოფილმა პატიმარმა სამეგრელოს რეგიონში საგრანტო თანხით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იყიდა და საოჯახო მეურნეობა გააძლიერა.

იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროექტი – „ყოფილ პატიმართა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა“ – მეოთხე წელია, წარმატებით მიმდინარეობს. მსგავსი წარმატებული ისტორიების გათვალისწინებით საგრანტო კონკურსის თანხა ყოველწლიურად იზრდება და უფრო მეტ ყოფილ პატიმარს შეუძლია საკუთარი ბიზნესიდეის განხორციელება. 2013-2016 წლებში, ქვეყნის მასშტაბით, სულ 43 ყოფილი პატიმრის 42 ბიზნესიდეა დაფინანსდა.

უახლოეს ხანში, იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროექტები კიდევ 149 ათასი ლარით დაფინანსდება. 100 ათასი ლარი აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ ყოფილ პატიმრებზე განაწილდება, 49 ათასი კი – დასავლეთ საქართველოში. ინდივიდუალური ბიზნესინიციატივები 500-დან 5 ათასი ლარის ოდენობით ფინანსდება. როგორც ცნობილია, „ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა“ 2012 წლის ბოლოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ინიციატივით შეიქმნა.

ლაზურ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ტურისტული ბიზნესის წყაროა

აჭარის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ აჭარაში მოქმედ ტურისტულ სააგენტოებსა და გიდებს ინფო ტურზე უმასპინძლა. ტურის ფარგლებში 50-მდე მონაწილე სარფის ლაზურ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სერვისებს გაეცნო და იქ განთავსებული ექსპონატები დაათვალიერა. გარდა ამისა, მათ მუზეუმის ადმინისტრაციისგან სპეციალური შემოთავაზებები მიიღეს.

ლაზური ეთნოგრაფიული მუზეუმი 2012 წელს დაარსდა. მუზეუმი გამორჩეულია რეგიონში მასში წარმოდგენილი ექსპონატებით. მუზეუმის სივრცეში დაცულია ლაზური ტრადიციებისა და ყოფა-ცხოვრების ამსახველი ნივთები, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ექსპონატები, ლაზური ეთნოგრაფიული ნივთები და ლაზი მხატვრის ჰასან ჰელიმიშის ფერწერული ტილოები. „ჩვენი მიზანია, ჰოპულარიზაცია გავუწიოთ მუზეუმს, რომელსაც საკმაოდ კარგი შეთავაზებები აქვს ტურისტული სააგენტოებისთვის. ინფოტურის ფარგლებში მონაწილეებს სოფელი კალენდრეც დავათვალიერებინეთ, საიდანაც სარფის ლამაზი პეიზაჟი იშლება და სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე გავაცანით ჩვენი ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მიერ შეთავაზებულ სერვისები,“ – განაცხადა აჭარის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს დირექტორმა თინათინ ზოიძემ.

„დიდი ბიზანტიის მემკვიდრე“, „ბეი როპა“, „პანკისური ბაზები“ და „ჰაგა სააკაშვილისთვის“

თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში პროპაგანდა საინფორმაციო ომის განუყოფელი ნაწილია. ძლიერი პროპაგანდისტული მანქანა აქტიურად მუშაობს რუსეთში, რომელიც მას საზოგადოებაში გარკვეული, მისთვის საჭირო აზრის ჩამოყალიბებისა და მეზობელ სახელმწიფოებზე გავლენის მიზნით იყენებს.

ისტორიულად, მოსკოვი თავის სამეზობლოს „საკუთარი ინტერესების განსაკუთრებულ სფეროდ“ განიხილავს, სადაც სხვა ქვეყნებს ჩარევის უფლება არ აქვთ. ამის ნათელი დასტურია ბოლო წლებში მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში განვითარებული მოვლენები. სამივე ქვეყანაში მოსკოვი საკუთარი გავლენის განსამტკიცებლად ძალისმიერ, სამხედრო მეთოდებს იყენებს და, ამავდროულად, ცდილობს, გაატაროს ე.წ. „რბილი ძალის“ პოლიტიკა.

ამ პოლიტიკის ფარგლებში მოსკოვი აქტიურად მიმართავს სხვადასხვა პროპაგანდისტულ ხერხებს, რომლებიც დეზინფორმაციას, ფაქტების გაყალბებას, დამახინჯებას, უმნიშვნელო დეტალებზე ყურადღების გამახვილებასა და პრორუსულად განწყობილი ფიგურების, ორგანიზაციებისა და ძალების წინა პლანზე წამოწევას მოიცავს.

საქართველოსთან მიმართებაში რუსული მედიასაშუალებები იყენებენ რამდენიმე სტერეოტიპულ მიდგომას. ეს, პირველ რიგში, აპელირებაა ქართველი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ფასეულობებზე, როგორიცაა რელიგია, ოჯახი და ტრადიციები. რუსული მედიასაშუალებები ცდილობენ, ქართველ საზოგადოებას მოახვიონ აზრი, რომ სწორედ რუსეთი არის ამ ფასეულობების დამცველი, დიდი ბიზანტიის მემკვიდრე, რომელიც აქტიურად ებრძვის დასავლეთში, იგივე „გეიროპაში“ თითქოსდა გამეფებულ „გარყვნილობას, ჰომოსექსუალიზმსა და ტოტალურ ურწმუნოებას“. ამ გზით მოსკოვი ცდილობს, დაარწმუნოს საქართველო, რომ პროდასავლური კურსი და მისწრაფებები ქვეყნის „გადაშენებას“ გამოიწვევს.

რუსულ პროპაგანდას საქართველოში შიდა ფაქტორებიც უწყობს ხელს. ეს არის როგორც საბჭოური მენტალობის გადმონაშთი („მოსკოვში ექვს მანეთად ჩავდიოდი“), ისე სოციალური უკმაყოფილება და ეკონომიკის არასახარბიელო მდგომარეობა.

ამ კუთხით რუსული პროპაგანდა ცდილობს, დააჯეროს ქართველ საზოგადოებას, რომ ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმება საშუალებას არ მისცემს ქვეყანას, ევროპულ ბაზარზე თავი დაიმკვიდროს და ალტერნატივად „უსაზღვრო რუსულ ბაზარს“ სთავაზობს.

„თბილისის რეჟიმის“ 2008 წლის ომი

რუსული პროპაგანდისტული მანქანა განსაკუთრებით გააქტიურდა რუსეთ-საქართველოს ომის დროს, როცა წამყვანი რუსული მედიასაშუალებები ფაქტებს მასობრივად ამახინჯებდნენ და ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ მსოფლიო საზოგადოება, რომ კონფლიქტის დაწყების ინიციატორი სწორედ ოფიციალური თბილისი იყო, მოსკოვი კი მშვიდობისმყოფელის როლს ასრულებდა.

სინამდვილის დამახინჯების არაერთ ასეთ ფაქტს რუსმა რეჟისორმა ანდრეი ნეკრასოვმა ახადა ფარდა, როცა 2009 წელს აგვისტოს ომის შესახებ დოკუმენტური ფილმი „რუსულის გაკვეთილები“ გადაიღო.

ამ ფილში ომის წინაპერიოდის, თავად საომარი მოქმედებების 5 დღის განმავლობაში და შემდგომ პერიოდში მომხდარი ფაქტების დამახინჯებისა და გაყალბების უამრავი ნათელი მაგალითი აისახა. თუმცა ყველაზე აღმაშფოთებელი მოსკოვის მიერ დაღუპულთა შესახებ მონაცემების გაყალბებაა. ხუთდღიანი ომის შემდეგ ე.წ. სამხრეთ ოსეთის იმჟამინდელმა დე ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა გაავრცელა ინფორმაცია 2 100 დაღუპულის შესახებ, მეორე დღეს „სამხრეთ ოსეთში რუსეთის ელჩმა“ ვიაჩესლავ კოვალენკომ უკვე ციფრი 2 000 დაასახელა. ამ ციფრებზე დაყრდნობით მოსკოვმა ქართული მხარე გენოციდში დაადანაშაულა. სწორედ გენოცოდის საკითხზე აპელირებდა მოსკოვი, როცა მის მიერ ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილებას აცხადებდა. და უკვე აღარავის მიუქცევია ყურადღება 2008 წლის დეკემბერში რუსეთის პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემებისთვის, რომლის თანახმად, სინამდვილეში აგვისტოს ომის დროს დაიღუპა 162 ოსი სამოქალაქო პირი და 48 რუსი მშვიდობისმყოფელი.

2008 წლის აგვისტოს ომის შემზარავმა კადრებმა მსოფლიო შეძრა. ამ ფოტოსურათზე რუსული ავიაციის მიერ ქალაქ გორის დაბომბვის შემზარავი შედეგებია ასახული.

მაგრამ 2008 წლის 13 აგვისტოს რუსულმა გამოცემა „Newsland“-მა (http://newsland.com/user/4296647880/content/interviu-s-glebom-garanichem-avtorom-skandalnykh-snimkov-iz-gori/3871564) გამოაქვეყნა ინტერვიუ, რომელიც, გამოცემის მტკიცებით, „эхо Кавказа“-ს რედაქტორმა ალექსეი ვენედიქტოვმა ჩამოართვა უკრაინელ ფოტოკორესპონდენტ გლებ გარანიჩს. ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ აღნიშნული ფოტოსურათი სწორედ მის მიერაა გადაღებული, მაგრამ სინამდვილეში იღებდა მოდელებს, რომლებიც სპეციალურად მიიწვია აგვისტოს ომზე ფოტოსესიის გადასაღებად. მოგვიანებით ვენედიქტოვმა განაცხადა, რომ მსგავსი ინტერვიუ არასდროს ჩაუწერია და ეს ცრუ ინფორმაცია იყო.

კიდევ ერთ ფაქტად შეიძლება, დასახელდეს 2008 წლის 8 აგვისტოს რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს საქართველომ ჩრდილოეთ ოსეთიდან სამხრეთში მიმავალი ჰუმანიტარული კოლონა დაბომბა. **„კოლონასთან ერთად გადაადგილდებოდა ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი თეიმურაზ მამსუროვი, დაშავდა თუ არა იგი, ჯერჯერობით უცნობია. ინფორმაცია მატერიალური ზიანის შესახებ ჯერჯერობით ასევე არ არსებობს“,** — წერდა გამოცემა lenta.ru (http://lenta.ru/news/2008/08/08/rocket/). ეს ინფორმაცია, რა თქმა უნდა, არც მოგვიანებით დადასტურდა, რადგან სრული ტყუილი იყო.

„ჰაგის ბრიბუნალი სააკაშვილისთვის“

დეზინფორმაციას რუსულმა მედიასაშუალებებმა მიმართეს მაშინაც, როცა ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ პროკურორ ფატუ ბენსუდას 2008 წლის ომის გამოძიების უფლება მისცა. 2016 წლის 27 იანვრის პუბლიკაციაში გამოცემა „Известия“ (http://izvestia.ru/news/602734) წერს: **„დღეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დაიწყეს სამხრეთ ოსეთში მომხდარი სამხედრო დანაშაულის გამოძიება, რომელიც 2008 წელს მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის დროს განხორციელდა“,** — მაშინ როცა ჰაგის სასამართლოს წარმომადგენლებს მიხეილ სააკაშვილი საერთოდ არ უხსენებიათ.

> **გასულ თვეს რუსული პროპაგანდის საფრთხეზე პენტაგონმაც ისაუბრა. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა 2017 წლის სამხედრო ბიუჯეტის წარდგენისას აღიარა, რომ რუსული სახელმწიფო პროპაგანდა რუსეთის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ნაწილია და იქვე დასძინა, რომ აშშ გაითვალისწინებს ამას იმ ზომების შემუშავების პროცესში, რომელიც „ევროპაში რუსული აგრესიის შეკავებისკენ არის მიმართული“.**

გამოცემა „Вести“-მ ამავე ინფორმაციის გაშუქებისას საკუთარი მასალა (http://www.vesti.ru/doc.html?id=2713294) შემდეგნაირად დაასათაურა: „სისხლის სამართლის სასამართლო სააკაშვილის არმიის დანაშაულების გამოძიებას იწყებს“ და ატვირთა საქართველოს ექსპრეზიდენტის ფოტოსურათი.

ამ და სხვა მრავალ პუბლიკაციაში რუსული მედია საქართველოს ყოფილ ხელისუფლებაზე ახდენდა აქცენტირებას და თითქმის არ წერდა, რომ გამოძიების ფარგლებში ჰაგის სასამართლო რუსული და ოსური მხარეების მოქმედებებსაც გამოიძიებს.

პანკისის ხეობა – „გამოწვევა კავკასიისთვის“

რუსული პროპაგანდის კიდევ ერთი გამორჩეული თემა, რომელსაც ადგილობრივი მედია პერიოდულად უბრუნდება, პანკისის ხეობაა. ამ ჭრილში რუსი ჟურნალისტები, როგორც წესი, იხსენებენ 2 000-იანი წლების დასაწყისს და აღნიშნავენ, რომ უკვე იმ პერიოდიდან პანკისში იატაკქვეშეთის მებრძოლები, მათ შორის „კავკასიის საამიროს“ ბოევიკები იმყოფებიან. „ისლამური

სახელმწიფოს“ გამოჩენის შემდეგ რუსულმა პროპაგანდამ საკმაოდ ბევრი მასალა მიუძღვნა „ისლამისტების ფაქტორს პანკისის ხეობაში“, რაშიც აქტიურად ეხმარებოდნენ მხოლოდ ვიწრო წრეებში ცნობილი, პრორუსულად განწყობილი ქართველი ე.წ. ექსპერტები.

2015 წლის 13 მარტს „Кавполит“-მა გამოაქვეყნა ნადანა ფრიდრიხსონის ინტერვიუ აზერბაიჯანელ პოლიტოლოგ ტოფიკ აბასოვთან სათაურით „პანკისის ხეობა და რეგიონული გამოწვევა“ (http://kavpolit.com/articles/pankisskoe_uschele_i_regionalnyj_vyzov-14935/). ფრიდრიხსონი შესავალში წერს: „პანკისის გავლით მარშრუტის რეანიმირება მოხდა. საქართველოში არიან ძალები, რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს“ ლოგისტიკურ დახმარებას უწევენ“, რის შემდეგაც აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი უყვება, რატომ და ვის ინტერესების სასარგებლოდ გაიხსნა პანკისის ხეობაში „ისლამური სახელმწიფოს“ ბანაკი — რა თქმა უნდა, ყოველგვარი მტკიცებულების ან დამადასტურებელი ფაქტის მოყვანის გარეშე.

კრემლი ცდილობს, საქართველოდან ახლო აღმოსავლეთში ერთეულების წასვლა წარმოაჩინოს „საფრთხედ მთელი კავკასიის რეგიონისთვის“. ამავდროულად, რუსული მედია, როგორც წესი, „მოკრძალებულად“ იკავებს თავს იმაზე საუბრისგან, რომ ФСБ-ს ოფიციალუ-

რი მონაცემებით, „ისლამურ სახელმწიფოში“ რუსეთის 7 000 მოქალაქეა გაწევრიანებული.

საქართველოში „ისლამისტების ფაქტორს“ კრემლი აქტიურად იყენებს ოსეების დაშინების მიზნითაც. გასული წლის 16 დეკემბერს ცხინვალის წარმომადგენელმა დავიდ სანაკოევმა არ გამორიცხა, რომ პანკისის ხეობაში ვითომდა მყოფი ისლამისტები საახალწლოდ დე ფაქტო საზღვარზე შეიარაღებულ პროვოკაციას განახორციელებდნენ. სანაკოევის პროგნოზი, რა თქმა უნდა, არ გამართლდა.

ეს პროპაგანდისტული კამპანია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაგრძო. 27 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა: „მოსკოვს აქვს ინფორმაცია, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წევრები ამ ძნელადმისაწვდომ ტერიტორიას (პანკისის ხეობას) წვრთნებისა და დასვენებისთვის იყენებენ“. მოსკოვს ამის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება არც ამჯერად წარმოუდგენია.

ლავროვის განცხადების შემდეგ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან ერთად პანკისის ხეობაში ჩავიდნენ აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩები, რათა თავადაც დარწმუნებულიყვნენ და მთელი მსოფლიო დაერწმუნებინათ, რომ რუსეთის პირველი დიპლომატის განცხადება სრულიად არაფერს ეფუძნებოდა.

მასალაში მოყვანილია საქართველოში მოქმედი „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელ ნანა დევდარიანის განცხადებაც, რომლის თანახმად, ლაბორატორია „მოსკოვის გასაღიზიანებლად“ შეიქმნა.

რუსეთის საყრდენი საქართველოში

ნანა დევდარიანი ერთ-ერთია საქართველოს იმ მოქალაქეებს შორის, რომლებიც, 2015 წელს IDFI-ს მიერ გამოქვეყნებული კვლევის „რუსული გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე“ თანახმად, საქართველოში პრორუსული ინტერესების გამტარებლები არიან.

ამ კვლევის მიხედვით, საქართველოში განსაკუთრებული ანტიდასავლური და პრორუსული რიტორიკით გამოირჩევიან „ევრაზიის ინსტიტუტი“ და „ევრაზიული არჩევანი“ (არჩილ ჭყოიძე), ასევე „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბი“, „სახალხო მოძრაობა ქართულ-რუსული დიალოგისა და თანამშრომლობისთვის“, ააიპ „ისტორიული მემკვიდრეობა“, მედია-გამოცემა „საქართველო და მსოფლიო“ (Geworld.ge), საინფორმაციო პორტალები „საქინფორმი“, „ივერიონი“, „გლობალური კვლევების ცენტრი“, „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობა“, ასევე ინტერნეტ ტელევიზია „პატრიოტი TV“.

კვლევაში აღნიშნულია, რომ არც ერთ მათგანს საკუთარ ვებგვერდზე დაფინანსების წყაროები დასახელებული არ აქვს, თუმცა რამდენიმე რუსულ ფონდს ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები პარტნიორების სიაში თავად ჰყავს შეყვანილი. **„მაგალითად, ევრაზიული კავშირისა და რუსეთის აგრესიული ექსპანსიური პოლიტიკის იდეოლოგის ალექსანდრ დუგინის ორგანიზაცია „საერთაშორისო ევრაზიული მოძრაობა“ წერს, რომ მისი პარტნიორი საქართველოში „ევრაზიული არჩევანია“ ,** — აღნიშნავენ კვლევის ავტორები.

„ევრაზიული ინსტიტუტი“ რუსული ენის შემსწავლელ კურსებს ატარებს რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაცია „Русский Мир“-ის მხარდაჭერით.

საქართველოში აქტიურად მუშაობს „გორჩაკოვის ფონდიც“, რომელიც რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის განკარგულების საფუძველზე შეიქმნა, მისი მრჩეველთა საბჭოს წევრი კი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვია. „გორჩაკოვის ფონდმა“ საქართველოში დააფუძნა რუსულ-ქართული საზოგადოებრივი ცენტრი, რომელსაც ისტორიკოსი ზაზა აბაშიძე ხელმძღვანელობდა. ბოლო პერიოდში ამ გუნდს დაემატა კიდევ ერთი — „Sputnik“, რომელსაც ფილიალი აქვს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონშიც.

რას ფიქრობენ დასავლეთში

გავლენიანი გამოცემა „Foreign Policy“ 2015 წლის მარტში გამოქვეყნებულ მასალაში წერდა, რომ ზემოჩამოთვლილი ორგანიზაციები, როგორც წესი, დაკავშირებული არიან „პრორუსული იდეოლოგებისა და პოლიტიკოსების ერთ ჯგუფებთან, რომელიც მოსკოვში მომლოცველობაზე რეგულარულად ჩადის და, თუ დავუჯერებთ ქართველ ოფიციალურ პირებს მმართველი პარტიიდან და ოპოზიციიდან, კრემლის დაფინანსებასაც იღებენ“.

მიმდინარე წლის თებერვალში აშშ-ის ეროვნული დაზვერვის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში „ეფექტური რუსული პროპაგანდა“ ნათქვამია, რომ ძლიერი რუსული პროპაგანდის გამო საქართველომ შესაძლოა, ევროინტეგრაციისკენ მიმართული ძალისხმევა შეასუსტოს.

გასულ თვეს რუსული პროპაგანდის საფრთხეზე პენტაგონმაც ისაუბრა. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა 2017 წლის სამხედრო ბიუჯეტის წარდგენისას აღიარა, რომ რუსული სახელმწიფო პროპაგანდა რუსეთის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ნაწილია და იქვე დასძინა, რომ აშშ გაითვალისწინებს ამას იმ ზომების შემუშავების პროცესში, რომელიც „ევროპაში რუსული აგრესიის შეკავებისკენ არის მიმართული“.

პოლონეთის საზოგადოებრივ პრობლემათა შესწავლის ინსტიტუტის თანამშრომლები ლუკაშ ვენერსკი და მატეუშ კუბიაკი გამოცემა charter97.org-ისთვის მომზადებულ მასალაში წერენ, რომ რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლაში ბევრი რამ დასავლეთზეა დამოკიდებული.

„მთავარი შეცდომა, რომელიც ახლა ევროკავშირის ქვეყნებმა შეიძლება, დაუშვან ისაა, რომ საქართველო სამუდამოდ დარჩება პროდასავლურ სახელმწიფოდ. თუ დასავლელი პარტნიორები არ გადაწყვეტენ თბილისთან თანამშრომლობის გააქტიურებას, მალე შეიძლება, აღმოჩნდეს, რომ ქართველები მასზე უარს იტყვიან. საქართველოს ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციის პროცესისადმი დასავლეთის გულგრილობა ხელს უწყობს ქართველ საზოგადოებაში მოუთმენლობისა და იმედგაცრუების გაზრდას, რაც, თავის მხრივ, დიდ შესაძლებლობას აძლევს რუსული პროპაგანდის ეფექტურ მოქმედებას“, — ნათქვამია მასალაში.

მოამზადა
იგორ რუსიშვილმა.

ეს მერამდენედ წავაგეთ იდეოლოგიური ომი!

ბოლო ხანებში თვალსაჩინო გახდა რუსული პროპაგანდის გაზრდა საქართველოში, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში.ამის გამო, როგორც ვიუწყებოდით, აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა მიიღო კანონპროექტი, რომელიც 10 მილიონი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ.

რუსული პროპაგანდის განეიტრალებას თუ ვერ ვახერხებთ, მაშინ ჩვენ ვართ სუსტები და არა რუსეთი ძლიერი...

საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრით, რუსული პროპაგანდა არის საფრთხე არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ აღმოსავლეთ ევროპისთვისაც. მისი თქმით, ყველა ის ქვეყანა, რომელიც თვლის, რომ უნდა შეეწინააღმდეგოს ამ პროპაგანდას, ნამდვილად უნდა შეიმუშაოს სპეციალური პოლიტიკა რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ.

საქართველოს კარგა ხანია, შემუშავებული აქვს სკრუპულოზურად გაწერილი კომუნიკაციის სტრატეგია, ქვეყანაში აკრედიტებული საელჩოების, ასევე ევროკავშირისა და ნატოს წარმომადგენლობების მეშვეობით ხდება მოსახლეობისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ის შეშფოთებულია ქვეყანაში გაზრდილი რუსული პროპაგანდის გამო. ქართველი ექსპერტების შეფასებით საქართველოში აქტიურად შემოდის უკონტროლო რუსული ფული, რომლითაც ფინანსდება როგორც პოლიტიკური პარტიები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები და რამდენიმე მედია. ექსპერტები თვლიან, რომ ამ საეჭვო დაფინანსებისა და იმ საფრთხის გათვალისწინებით, რაც ქვეყანაშია, სახელმწიფო უნდა დაინტერესდეს.

როგორც ექსპერტები აცხადებენ რუსული გავლენის ქვეშ მყოფი მედია თუ პოლიტიკური ძალა აქტიურად ეწევა პროპაგანდას, რომ ევროკავშირი და ნატო საქართველოსთვის მიუღებელია. ექსპერტები თანხმდებიან, რომ რუსული პროპაგანდის გააქტიურება საკმაოდ დიდ საფრთხეებს შეიცავს საქართველოსთვის.

პოლიტოლოგი **სოსო ცისკარიშვილი** ამბობს, რომ ქვეყანაში აშკარად შეინიშნება რუსული პროპაგანდის ზრდა, თუმცა, მისივე თქმით, ვცხოვრობთ სახელმწიფოში, რომელსაც არც პროპაგანდის და არც კონტრპროპაგანდის უნარი არა აქვს. ასეთი სახელმწიფო კი, დიდხანს ვერ იდგება საკუთარ ფეხზე. პოლიტოლოგი ამბობს, რომ საქართველოში მიზანმიმართულად მუშაობს რუსული პროპაგანდა და ყველა შესაძლებლობას იყენებს ანტიდასავლური განწყობების გასავრცელებლად.

„არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენ წარმოდგენა არ გვაქვს რას წარმოადგენს დღევანდელი მოსკოვი. ამიტომ, ვიდრე ხელისუფლება იტყვის, რომ ქვეყანაში არანაირი პრორუსული პროპაგანდა არ არსებობს, გაზეთები მაინც წაიკითხონ, რომელიც რასაკვირველია, მომართული არიან რუბლით და არა დოლარით ან ლარით“, — აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

ქვეყანაში რუსული პროპაგანდის გაძლიერებას განსხვავებულად უყურებს ექსპერტი **გია ხუხაშვილი** და ფიქრობს, რომ რუსული პროპაგანდის შესაძლებლობები გადაჭარბებულია. მისი თქმით, ისტერიული ტონი, რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ დასავლურ სამყაროში შეიმჩნევა, საკუთარი უსუსურობის აღიარებაა და უადგილოც, როდესაც ზედმეტი ყურადღება მახვილდება.

„რუსეთს იმდენი ობიექტური სისუსტე აქვს, რომ ჩემთვის წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ადამიანი რუსული პროპაგანდის ტყვეობაში აღმოჩნდეს. პროპაგანდა სახიფათოა მაშინ, როდესაც არ არსებობს ალტერნატიული აზრი.

ილაპარაკოს საქართველოში თავისუფალმა პრესამ იმ პრობლემებზე, რომელიც რუსეთშია, როგორც დემოკრატიის, ასევე ადამიანის უფლებებისა თუ ეკონომიკური კუთხით, რაც სავსებით საკმარისი იქნება რუსული პროპაგანდის გასანეიტრალებლად. თუ ამას ვერ ვახერხებთ, მაშინ ჩვენ ვართ სუსტები და არა რუსეთი ძლიერი“, — აცხადებს გია ხუხაშვილი.

თამთა ქარჩავა

პუტინი მოხვდა იმ 100 პირის სიაში, რომლებმაც დადებითი გავლენა მოახდინეს ებრაელების ცხოვრებაზე 2015 წელს

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის გარდა ტოპ-ასეულში პოლიტიკური მოღვაწეებიდან შევიდნენ: ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი ალექსის ციპრასი, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი მანუელ ვალსი, ჩეხეთის პრეზიდენტი მილოშ ზემანი, ეგვიპტის პრეზიდენტი აბდელ ფატაჰ ას-სისი.

პოლონეთში სურთ აიღონ 500 ძეგლი, რომლებიც დაიდგა „სსრ კავშირისთვის მადლობის ნიშნად“

ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტის ხელმძღვანელის ლუკაშ კამინსკის აზრით, საბჭოთა ძეგლები არის სიმბოლო „კომუნისტური სისტემის ბატონობისა პოლონეთზე“: „მათი შენარჩუნება არის პოლონეთში 90-იანი წლების დასაწყისის ცვლილებათა დაუმთავრებლობის შედეგი. ეს იყო ფატალური შეცდომა“.

პოროშენკომ მოუწოდა დასავლეთს შეუერთდნენ სანქციირებულ „სავჩენკოს სიას“

ჩვენ გამოვაქვეყნეთ სანქციების სია იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობდნენ სავჩენკოს, სენცოვის, კალჩენკოს საქმეებში. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ამერიკელი და ევროპელი პარტნიორები შეუერთდებიან ამ ინიციატივას“, — თქვა პიოტრ პოროშენკომ, როდესაც ოთხშაბათს ვაშინგტონში გამოდიოდა, სადაც ის ჩავიდა ბირთვული უშიშროების სამიტში მონაწილეობისათვის, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სანქციით მიმდინარეობს.

მორალური ტერორის ავტორები აუცილებლად დაისჯებიან

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია აცხადებს, რომ მორალური ტერორის ავტორები აუცილებლად იქნებიან დასჯილი. დღეისათვის დაანონსებული ფარული კადრების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ბესელიამ ასევე აღნიშნა, რომ აბსოლუტურად ყველა უწყება ჩართულია და მუშაობს პრევენციისთვის.

„თუ ვინმეს ეს განზრახვა აქვს ისევე, რომ მსგავსი მორალური ტერორი განახორციელოს, მე დარწმუნებული ვარ, რომ სადაც არ უნდა იყოს ეს ადამიანი, იქნება ნაპოვნი და უმკაცრესად დასჯილი. ასე რომ, ნუ გამოცდის ნურავინ ჩვენი სამართლებრივი სისტემის ან მართლმასჯულების ხარისხს, მასშტაბს და არეალს. ყველა შემთხვევაში, ასეთი დამნაშავე იქნება დასჯილი. პრევენციას რაც შეეხება, მე ვიცი, რომ აბსოლუტურად ყველა უწყება, ვისაც აქვს შეხება და აქვს ვალდებულება, განახორციელოს წინასწარი პრევენცია, მაქსიმალურად, რაც კი შესაძლებელია, ეს სამუშაოები უკვე მიმდინარეობს კოორდინირებულად“, — აღნიშნა ბესელიამ.

ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ მოახერხა ფარული მასალების გავრცელების პრევენცია

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, შემაშფოთებელია ის, რაც ხდება. „ჩვენ ვხედავთ, რაც ხდება მსოფლიოში კიბერდანაშაულთან დაკავშირებით“. ფარული კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით მან ასევე განაცხადა, რომ მსოფლიოში ჯერ ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ მოახერხა ამის პრევენცია.

„უამრავი საიტი არსებობს და უამრავი გვარი, მაგალითად, ასანჟი და სხვა პიროვნებები, რომლებიც არა პირადი ცხოვრების ინფორმაციას, მაგრამ ავრცელებენ ისეთ ინფორმაციას, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოს აზარალებს. ამით იმის თქმა მინდა, რომ კიბერუსაფრთხოება და კიბერდანაშაული ჯერ კიდევ მთელი მსოფლიოს გამოწვევაა. გამოძიება სანამ არ დამთავრდება, ვერაფერს ვერ ვიტყვით, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არის საქართველოს გამოწვევაც. გარდა იმისა, რომ კიბერდანაშაულზეა საუბარი და შეიძლება, უკონტროლო და სახელმწიფოს საწინააღმდეგო ვრცელდებოდეს, რომლის წინაშე უამრავი დიდი სახელმწიფო დგას, გარდა ამისა, ამას ემატება ქართულ სინამდვილეში ამორალური ფონი - ადამიანის პირადი ცხოვრების კადრებს ავრცელებენ. დანაშაული დანაშაულია. ერთნაირად უნდა ხდებოდეს მის წინააღმდეგ ბრძოლა. ვადასტურებ, რომ ვუყურებ ამ პროცესებს და მსოფლიოში ჯერ ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ მოახერხა ამის პრევენცია. როგორც წესი, ხდება უკვე გამოქვეყნებულ მასალაზე ზემოქმედება“, — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

„ეს ნაძირლები იღებდნენ დავით ბაქრაძეს და გიგი უგულავასაც თავის ცოლებთან ერთად“

ინტერნეტ სივრცეში პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების ფაქტზე საუბრისას „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გია ბარამიძე ტელევიზია „იბერიას“ გადაცემა „პრიორიტეტში“ სკანდალურ განცხადებას აკეთებს. დეპუტატის თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, დავით ბაქრაძეს და გიგი უგულავასაც ულებდნენ. „ნაძირლები რომელიც ამ ხელისუფლებამ არ დააპატიმრა და არა თუ არ დააპატიმრა, გადმოიღოცა სისტემაში, იღებდნენ დავით ბაქრაძეს თავის მეუღლესთან ერათად, გიგი უგულავას თავის მეუღლესთან ერთად და კიდევ ბევრ ჩვენთაგანს“, — განაცხადა ბარამიძემ.

რაც დრო გადის, ცხადი ხდება, რომ კაცობრიობას დღემდე არ ჩამოუყალიბებია ისეთი საზოგადოება, რომლის შეხედულებაც ამა თუ იმ საკითხზე ყველასთვის სამართლიანი და მისაღები იქნება. დედამიწაზე ბევრი რამ ჯერ კიდევ ძიების პროცესშია. ოცნების ის სამეფო, სადაც საკითხები შესწავლილი და გააზრებულია, არ არსებობს.

ერი ჩვენი საერთო საკაცობრიო სიმდიდრეა; მზარდი, ცოცხალი, შემოქმედი სიმდიდრე, რომელსაც უნიკალურობისა და შესაძლებლობების წარმოსაჩენად სივრცე სჭირდება. ვინ იცის, თითოეულ ერს რამდენი სისხლისღვრა დასჭირდა, რომ ოცდამეერთე საუკუნემდე მოეღწია, მიწის თითო ნაგლეჯი შეენარჩუნებინა და საკაცობრიო ტილოზე გამორჩეული ფერი დაეტოვებინა...

როდესაც განვითარებული ადამიანის პრეტენზია გვაქვს, ველური ჟინი ვილაცის განადგურებისა და მიწა-წყლის წართმევისა, ჩვენი შეგნებიდან უნდა გაქრეს.

უთუოდ შენიშნავდით, ერთმანეთისგან დაშორებით მდგარი ხეები როგორ ვითარდებიან; დაინახავდით მათ სიამაყეს, სილაღეს, მედიდურობას. იმ ხის საცოდაობასაც დაინახავდით, მეორე ხის ტოტებქვეშ რომ ამოსულა, ცდილობს, მეზობელს თავი აარიდოს, მაგრამ ვერ ახერხებს და წელში მოხრილი სულს ღაფავს.

მინდორში, სადაც საქონელი ბალახობს, ისეთ ხეს წააწყდებით, რომელიც მაღალი იზრდება, მაგრამ იმის გამო, რომ საქონლისგან თავი წაკორტნილი აქვს, სიმაღლეში გაზრდას ვერ ახერხებს და განიერ ბუჩქად ქცეულა.

მეცნიერთა დაკვირვებით, ცხოველთა სახეობები სასიცოცხლო სივრცეს სხვადასხვა წესით მოინიშნავენ; მგლები საზღვარს შარდით ავლებენ; დათვები თვალსაჩინო ხეებზე მერქანს ბრჭყალებით ფხაჭნიან და ღრმა ნაჭდევს უკეთებენ. ავსტრალიური კურდღლის შესწავლისას დაადგინეს, რომ საზღვრის მოსანიშნად, კურდღლის ეს ჯიში ნიკაპთან არსებულ, თავისებური სურნელის მფრქვევ ჯირკვალს იყენებს.

გრენლანდიაში ჩიტებზე დაკვირვებისას აღმოაჩინეს, რომ მამრი გრეტები გალობით შემოსაზღვრავენ სივრცეს; ყოველი მამრის სტვენა განსხვავებულია, ამიტომ უიოლდებათ ერთმანეთის „მამულის“ გარჩევა.

მეცნიერების აზრით, ბულბულის გალობის ფუნქციაც, ძირითადად, სასიცოცხლო სივრცის შემოსაზღვრაა.

საყურადღებოა, რომ მოცემულ საზღვრებში სახეობის მომრავლების შემთხვევაში, როცა დანაწილებული ფართობები საკმარის საკვებს ვერ იძლევა, თავად სახეობები პრობლემას ბუნებრივად აგვარებენ; მგლები, ხშირ შემთხვევაში, ხუთ-რვა ლეკვის ნაცვლად ერთ-ორ ლეკვს აჩენენ, განსაკუთრებულ მდგომარეობაში კი უარს ამბობენ გამრავლებაზე. კაკაჩა ხუთ-ექვს კვერცხს დებს, მაგრამ სივრცეში საკვების შემცირებისას, კვერცხის დებას ერთამდე ამცირებს.

ჩვენ, ადამიანები როგორ ვიქცევით? დღესაც საამაყოდ გვაქვს სხვათა ხოცვა და სხვათა მამულების მიტაცება. ვწუხვართ, როცა გვართმევენ და გვიხარია, როცა ვართმევთ...

ნუთუ სარგონმა იმიტომ შექმნა დედამიწაზე პირველი, აქადურ-შუმერული იმპერია, რომ კაცობრიობის ეს ორი მოდგმა აღგვილიყო პირისაგან მიწისა? ამორეველებმა სარგონის იმპერია დაამხეს და მის ნანგრევებზე ჰამურაბმა ბაბილონის იმპერია დააარსა, რომელიც ხეთებმა გაანადგურეს. ხეთების იმპერია ე.წ. „ზღვის ხალხებმა“ დააქციეს.

ფინიკია, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით, ძველი სამყაროს განვითარებული ქვეყანა იყო, რომელიც ჯერ ასურელებმა, შემდეგ ბაბილონელებმა და სპარსელებმა დაიპყრეს და გაანადგურეს, ხოლო აფრიკის ჩრდილოეთით ფინიკიელთა კოლონია და ქალაქი კართაგენი რომის იმპერიამ დაანგრია.

ჩინეთთან წარუმატებელი ბრძოლების შემდეგ ჰუნები დასავლეთისკენ დაიძრნენ და რომის იმპერიის ჩრდილოეთით მცხოვრები ტომები იძულებული გახადეს საკუთარი მიწებიდან აყრილიყვნენ და სასიცოცხლო სივრცის მოსაპოვებლად რომის იმპერიის შიგნით დაეწყოთ ბრძოლა. რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ანგლები, საქსები, ფრანკები, ვესტგოთები და ოსტგოთები ევროპის შუაგულში, სხვათა მიწებზე დასახლდნენ. აღმოსავლეთ რომის იმპერიამ კი, არაბებთან და თურქებთან ბრძოლებში დასუსტებულმა, მეთხუთმეტე საუკუნეში არსებობა შეწყვიტა და მის ტერიტორიაზე თურქი ერის სასიცოცხლო სივრცე გაჩნდა.

აფრიკელებს გაუმართლათ, რომ ევროპელებმა ამერიკა აღმოაჩინეს და ძალისხმევა იქით მიმართეს, თორემ, ღმერთმა უწყის, დღეს აფრიკის კონტინენტზე შავკანიანი ადამიანი იარსებებდა თუ არა. სამაგიეროდ, ევროპელებმა მიწები წაართვეს ავსტრალიისა და ამერიკის აბორიგენებს.



ერის სასიცოცხლო სივრცე

თუ გვინდა, რომ პოლიტიკურ ცხოველებად არ ვიქცეთ...

უნიკალურობა, თანასწორობა და მარადიულობა ეროვნული სივრცის ღირებულებებია. ყოველი ინდივიდის ბუნებრივი ვალდებულებაა, თავის თავში აღმოაჩინოს უნიკალურობა და თავისი თავის აბსტრაქტულ არსებობაში გადაიტანოს, ანუ ერის თვითმყოფადობაში გაჯერდეს.

ეს მცირე ჩამონათვალიც კი საკმარისია დასაფიქრებლად, ჩვენს თავში ჩასაღრმავებლად და გონიერი არსებისთვის შესაფერისი დასკვნის გამოსატანად. თუ მგლებს, რომლებიც შარდითვე საზღვრავენ თავიანთ სასიცოცხლო სივრცეს, ესმით, რომ ის იმისია და ეს — ამისი, ჩვენ, ადამიანები, რომლებმაც საუკუნეების მანძილზე სისხლით შემოვსაზღვრეთ ჩვენი მამულები, როგორ ვერ უნდა მივხვდეთ, რომ ერი მიწის სიდიდით, ან სახელმწიფოს ძლევამოსილებით კი არა, ღვაწლით ფასობს, საკაცობრიო კულტურაში შეტანილი ღვაწლით.

ერი მიწის რაღაც მონაკვეთზე საძოვრად გაშვებული ჯოგი არ არის, სასიცოცხლო სივრცეში თვითონ არის განფენილობა; ტბა კი არ ფლობს თავის ქვეშ არსებულ მიწას, წყალი თავადვე აფიქსირებს თავის თავს ტბად; **ერი კი არ ფლობს სასიცოცხლო სივრცეს, ინდივიდთა ერთობა თავისი თავით აფიქსირებს თავის თავს ერად.** მიწა არ განსაზღვრავს ერის სივრცით ფორმას, ერთი თავად არის თავისი თავის სივრცითი ფორმა.

ადამიანის განსაკუთრებულობა სივრცობრივ გამოვლინებებში ჩანს. ცხოველს ერთი სივრცითი შემოსაზღვრულობა აქვს და სასიცოცხლო სივრცე მისთვის არსებობის წყაროა. ადამიანმა ცხოველური სასიცოცხლო სივრცე სამ თვისობრივად განსხვავებულ სივრცედ გარდაქმნა:

1. ეროვნული სივრცე,
2. კულტურული სივრცე,
3. სამართლებრივი სივრცე.

სამივე სივრცეს სხვადასხვა განზომილება აქვს; **ეროვნული სივრცე ეროვნულ განზომილებაშია, კულტურული სივრცე — საზოგადოებრივ განზომილებაში და სამართლებრივი სივრცე — სახელმწიფო განზომილებაში.**

განვიხილოთ სივრცეები ცალ-ცალკე:

ეროვნული სივრცე

ეროვნული **სივრცე მსგავსთა განთესილობა — ქვეყანაა. ქვე ყანა, ქვემოთ, მიწაზე ყანას, ნათესს ნიშნავს. ქვეყანა მსგავსთა ყანაა, განთესილობაა, რომელიც თავისი თავით განისაზღვრება. მაგალითად; სომეხთა ქვეყანა სომეხთა ეროვნული სივრცეა, რუსთა ქვეყანა — რუსთა ეროვნული სივრცე და ასე შემდეგ.**

ქვეყანა სახელმწიფო არ არის. ქვეყნის საზღვრები ყოველთვის არ ემთხვევა სახელმწიფოს საზღვრებს. ისინი თვისობრივად სხვადასხვა სიდიდეებია.

რატომ აღმოჩნდა ადამიანი ბუნებრივი გარემოსგან თვისებრივად ახალ სივრცეში, ჯოგური ერთობის გარემომ რატომ ვერ დაიტია?

ეროვნული სივრცის გაჩენა ადამიანის უნიკალური ბუნების წარმოჩენის შედეგია. უნიკალურობა ბუნებრივი მოვლენაა. ყოველი ინდივიდი უნიკალურია. ადამიანთა შორის ნათესაური განთესილობა ინდივიდთა შორის ბუნებრივ მსგავსებას იწვევს; მსგავსება გამოიხატება საქციელში, ხასიათში, წესჩვეულებებში, შემოქმედებაში და ასე შემდეგ... რაც ერის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. ინდივიდთა უნიკალურობა ჯგუფურ უნიკალურობაში გაჯერდა. ადამიანი, თავისი უნიკალური ბუნების გამოვლინებით, ერში აბსტრაქტულ არსებობაში გადავიდა, რამაც განაპირობა ინდივიდის უნიკალური ბუნების სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ.

ფაქტია, არც ერთი ერი, ისეთი, როგორიც არის, იმათ არ შეუქმნიათ, ვინც დღეს ცოცხალია, რაც ზემოთ ნათქვამის უტყუარი დასაბუთებაა.

ადამიანმა, თავისი უნიკალური ბუნების წარმოჩენით, ისეთი სივრცე შექმნა, სადაც თავის გამოვლინებას უკვდავება მიანიჭა; ცხოველური სასიცოცხლო სივრცე ისეთ სიდიდედ აქცია, სადაც სიკვდილი არსებობაში ხელს ვერ უშლის.

უნიკალური ბუნების მარადიულობა ეროვნული სივრცის ბუნებრივი თვისებაა. სივრცის ეს ბუნებრივი თვისება ხდის ყოველ

ინდივიდს თანასწორს სიცოცხლეში და თანასწორს მარადიულობაში. ცდებიან ის მეცნიერები, რომლებიც ერში სოციალური ჯგუფების არსებობაზე საუბრობენ. სოციალური ჯგუფები საზოგადოებრივი მოვლენაა და არა – ეროვნული. ზერელე ხედვით ეს ბატონები განზომილებათა აღრევას ახდენენ.

უნიკალურობა, თანასწორობა და მარადიულობა ეროვნული სივრცის ღირებულებებია. ყოველი ინდივიდის ბუნებრივი ვალდებულებაა, თავის თავში აღმოაჩინოს უნიკალურობა და თავისი თავის აბსტრაქტულ არსებობაში გადაიტანოს, ანუ ერის თვითმყოფადობაში გაჯერდეს.

კულტურული სივრცე

ადამიანი სულისა და სხეულის ერთარსია. ის არც ცალკე სულია და არც – ცალკე სხეული. ადამიანურ შემოქმედებაში სულისა და მატერიის ერთიანობა თუ არ არის, ნაყოფი შემოქმედებისა ისეთივე ნაკლულოვანია, როგორც ადამიანი სულის, ან სხეულის გარეშე. შესაძლებლობების წარმოჩენისას მჟღავნდება ადამიანის ზოგადადამიანური ბუნება, რაც სულიერ და მატერიალურ შრეებს მოიცავს.

თუ ადამიანის უნიკალურმა მახასიათებელმა მსგავსთა ერთობას ჩაუყარა საფუძველი, ზოგადადამიანურმა მახასიათებელმა ცხოველური სასიცოცხლო სივრცე კულტურულ სივრცედ გარდაქმნა. ღვთაებრივი შემოქმედების ნაყოფი ადამიანური შემოქმედების ნაყოფით გადაიფარა. ადამიანი ღმერთად იქცა. კულტურულ სივრცეში ადამიანი ღმერთია. ის ქმნის ღმერთის შექმნილისგან განსხვავებულ სამყაროს და ეს სამყარო ევოლუციურ ცვალებადობაშია.

შესაძლებლობების წარმოჩენა საზოგადოებრივ განზომილებაში სოციალური ჯგუფების ჩამოყალიბებასა და მათ უთანასწორობას იწვევს; ადამიანმა შექმნა სამუშაო იარაღი და ვიღაც ამ იარაღის მეპატრონე გახდა, ვიღაც სამუშაო ძალად გადაიქცა; გამოიგონა ჩარხი და ვიღაც ხარატი გახდა, ვიღაც – მეწარმე; გამოიგონა მანქანა და ვიღაცამ მისი მართვა დაიწყო. ევოლუციური განვითარების გზაზე ადამიანურმა გონმა ადამიანი ობიექტად აქცია, რაც გაწირვას ნიშნავს; ადამიანი გაიწირა, რომ ადამიანი ღმერთად იქცეს.

სოციალურ ჯგუფებში მკვეთრ უთანასწორობას რევოლუციები ვერ დაძლევს. ყველა ჯურის რევოლუციონერ-ფილოსოფოსის უბედურება ის იყო, რომ სურვილი უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე – რაიმეს შეცვლის შესაძლებლობა. ადამიანს მკვეთრი უთანასწორობიდან ისევ ადამიანური გონი გამოიყვანს და არა მოუმწიფებელი ლტოლვა უკეთესობისკენ.

საზოგადოებრივ განზომილებაში სოციალური ძვრების განხილვა ჩვენი თემის საგანი არ არის. ამიტომ დავუბრუნდეთ თემას:

ადამიანი, თავისი უნიკალურობის წარმოჩენით, ეროვნულ სივრცეში ერის თვითმყოფადობაში, აბსტრაქტულ სიცოცხლეში გადავიდა, კულტურულ სივრცეში ის ღმერთობას ეზიარა.

განუსაზღვრელი შესაძლებლობების მქონე ღმერთს, ღვთაებრივი პასუხისმგებლობის გარეშე, შეუძლია გაანადგუროს სამყარო, ანუ ნაყოფი ღვთაებრივი შემოქმედებისა. კულტურა (ფართო გაგებით) ადამიანური შემოქმედების ნაყოფია. ღვთაებრივი პასუხისმგებლობის გარეშე ადამიანის შესაძლებლობები ბოროტ გამოვლინებებად იქცევიან, რასაც შეუძლია არა მხოლოდ ადამიანური შემოქმედების ნაყოფის, არამედ ღვთაებრივი შემოქმედების ნაყოფის განადგურებაც.

როდესაც ვამბობთ, ადამიანი ღმერთმა თავისუფალი შექმნა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მასში შესაძლებლობების სახით ღვთაებრივი ბუნებაც დევს და სატანური ბუნებაც. ადამიანური შესაძლებლობები ორსახოვანი და ორბუნებოვანია; ისინი, ერთი მხრივ, ადამიანს ღვთაებრივ სახეს აძლევენ და ღვთაებრივი ბუნების მატარებელს ხდიან, მეორე მხრივ, სატანურ სახეს აძლევენ და სატანური ბუნების მატარებელს ხდიან. წარმმართველი ძალა პასუხისმგებლობაა. პასუხისმგებლობა ადგენს პიროვნების სახესა და ბუნებოვნებას. კულტურული სივრცის პასუხისმგებლობა მორალურია, ის შიგნიდან აღძრავს ნებას, ამიტომ კულტურულ სივრცეში მთავარი ღირებულება თავისუფლებაა. თავისუფლება შესაძლებლობებისა და პასუხისმგებლობის შეთანხმებაა. ისინი განსაზღვრავენ თავისუფლების ხარისხს. რაც უფრო დიდი შესაძლებლობების მატარებელია ადამიანი, უფრო დიდი პასუხისმგებლობაც უნდა ჰქონდეს, რათა თავისსავე შესაძლებლობების ტყვედ არ იქცეს და ბოროტებად არ გამოვლინდეს.

კულტურულ სივრცეში თანასწორობა არ არსებობს. თანასწორობა თავისუფლებასთან

კულტურული სივრცის პასუხისმგებლობა მორალურია, ის შიგნიდან აღძრავს ნებას, ამიტომ კულტურულ სივრცეში მთავარი ღირებულება თავისუფლებაა. თავისუფლება შესაძლებლობებისა და პასუხისმგებლობის შეთანხმებაა. ისინი განსაზღვრავენ თავისუფლების ხარისხს. რაც უფრო დიდი შესაძლებლობების მატარებელია ადამიანი, უფრო დიდი პასუხისმგებლობაც უნდა ჰქონდეს, რათა თავისსავე შესაძლებლობების ტყვედ არ იქცეს და ბოროტებად არ გამოვლინდეს.

ბუნებრივ არათავსებადობაშია. ადამიანები ერთმანეთისგან შესაძლებლობებითაც განსხვავდებიან და პასუხისმგებლობითაც, ამიტომ ამ სივრცეში ბუნებრივი უთანასწორობაა.

ეროვნულ სივრცეში თავის უნიკალურობას თუ ადამიანი მარადიულ არსებობაში – აბსტრაქტულ უკვდავებაში გაჰყავს, კულტურულ სივრცეში ზოგადადამიანური მახასიათებელი ადამიანს ღმერთობას ანიჭებს. უფრო მაღალი გამოვლინება, უფრო დიდი სრულყოფა ადამიანისა შეუძლებელია.

ეროვნულ სივრცეს სუბსტანციური საფუძველი ინდივიდის უნიკალურობაში აქვს. უნიკალურობა იდეა არ არის, რომ გონებაში გაჩნდეს, ის ბუნებრივი თვისებაა, რომელიც ინდივიდთა ერთობაში გადადის, როგორც სხვა ერთობისგან განსხვავებული მყოფადობა. კულტურულ სივრცეს სუბსტანციური საფუძველი გონებაში აქვს; შემეცნება, იდეათა წარმოქმნა და ხორცშესხმა გონის თვისებაა. ადამიანურ ქმნილებათა ევოლუცია გონში მიმდინარე პროცესია. სწრაფვა სრულყოფისკენ გონის ქმნილების სრულყოფას იწვევს. ადამიანურ ქმნილებათა განფენილობა კულტურული სივრცეა.

ეროვნული და კულტურული სივრცეების შექმნა ადამიანს არ დაუგეგმავს, მსგავსი იდეა არ გასჩენია. ის თავის თავს ავლენდა, რამაც ცხოველური სასიცოცხლო სივრციდან თვისობრივად სხვა სივრცეებში გაიყვანა.

სამართლებრივი სივრცე

სამართლებრივ სივრცეს ბუნებრივი საფუძველი არა აქვს. სამართალი კულტურული სივრცის საგანია, როგორც წყალგაყვანილობათა სისტემა, ღვინის წარმოების ტექნოლოგია, განათლება, მეცნიერება, ხელოვნება, ქარხანა, ფაბრიკა, ფეხბურთი, ჭიდაობა და ასე შემდეგ. ის ადამიანური ქმნილებაა და, როგორც ყველა ადამიანური ქმნილება, იდეური განზრახულობით იშვა. კულტურული სივრცის საგანთაგან გამორჩეული ადგილი სამართალმა იმიტომ დაიკავა, რომ სუბსტანციური საფუძველი გახდა თვისებრივად განსხვავებული ერთობისა – სახელმწიფოსი.

რამ აიძულა ადამიანი კულტურული სივრცისთვის შეუფერებელი ფორმა – მოქალაქეობა მიეღო და სამართლებრივ სივრცეში მოქცეულიყო?

ადამიანურ შესაძლებლობათა ორსახოვნება ერთარსის მიდრეკილებაა კეთილისკენ ან ბოროტისკენ. მიდრეკილებათა გასაყარზე გონებას, გარდა პასუხისმგებლობისა, არავითარი ბუნებრივი მაკონტროლებელი არა აქვს. პასუხისმგებლობა მორალურია. პირველყოფილ საზოგადოებაში მკვლელობის ჩამდენი სიკვდილით ისჯებოდა. ეს გადაწყვეტილება მოკლულის ნათესავთა მორალური ნაბიჯი იყო (სისხლის აღების ასეთი წესი ცნობილია). გამოუძიებელ დანაშაულზე დაზარალებულის განაჩენი შეიძლება მცდარი იყოს, რაც ცხადყოფს, რომ მორალური განაჩენი უსამართლობას არ გამორიცხავს.

ადამიანურ შესაძლებლობათა ორსახოვნება თვითმაღიარებელი თავისუფლების სამართლიანობას ვერ ადგენს.

როდესაც ადამიანი თავს კეთილისკენ მიმართავს, ვამბობთ: „მაღალი მორალური შეგნებით“, ან „მაღალი ზნეობრივი შეგნებით“. ეს ნიშნავს, რომ ვაღიარებთ დაბალ მორალურ შეგნებას. მსგავსი განსაზღვრებანი ადგენენ ადამიანის პიროვნულ ბუნებას, რაც საზოგადოებრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვანია, მაგრამ სამართლიანობისა და უსაფრთხოების დასაცავად – არასაკმარისი.

საკაცობრიო გონს ადამიანი განსხვავებულ სივრცეში უნდა გაეყვანა და ასეთი სივრცე სამართლებრივი სივრცეა, რომელიც გარეგანი შეზღუდვით – კანონით აწესრიგებს ურთიერთობებს. ამ სივრცეში სახელმწიფოს ელემენტი მოქალაქეა, რომელსაც მორალი, ეროვნება, სქესი, სარწმუნოება არა აქვს. ის პიროვნების სამართლებრივი ფორმაა, რომლითაც სამართლებრივ სივრცეში ურთიერთობს.

ბელადის სამართალი, ტომის უხუცესთა სამართალი, მონარქის, იმპერატორის, დიქტატორის სამართალი ძალაუფლებაზე დაფუძნებული, თვითნებობაზე დაფუძნებული სამართალი იყო. საკაცობრიო გონის ევოლუციურმა გზამ თანამედროვე სამართლებრივ სივრცეში გაგვიყვანა. თუმცა, ხელისუფლებები ძალაუფლებას დღესაც ვერ ელევიან. ნუთუ ჩვენ მივეცით უფლება, რომ მოგვცენ უფლება?...

კანონი შეზღუდვაა და არა – უფლება. როდესაც სახელმწიფო რაღაცის უფლებას გასცემს, ის ძალადობს; პიროვნების, ინდივიდის, ერის, საზოგადოების ორგანიზმში შეღწევით ცდილობს მათ დამორჩილებას. ეს ტოტალიტარიზმია. სახელმწიფოს აღზევებისთვის ერისა და საზოგადოების დაკნინება ბუნების საწინააღმდეგო ნაბიჯია. ძალაუფლება ვერ ეგუება ძალაუფლებაზე მაღალ ღირებულებას. ბოლშევიკები ამიტომ დევნიდნენ და ხოცავდნენ საზოგადოების გონიერ ნაწილს, სააკაშვილის ხელისუფლებამ ამიტომ დაუწყო დევნა საზოგადოებრივ გაერთიანებებს; მწერალთა კავშირს, კომპოზიტორთა კავშირს და სხვებს. იყენებდა მათ წინააღმდეგ სულგაყიდულ მწერლებსა და ხელოვანებას, ართმევდა ქონებას, ცდილობდა მათ დაშლას.

ეროვნულ და კულტურულ სივრცეებს ბუნებრივი საფუძველი აქვთ, ხოლო სამართლებრივი სივრცე ადამიანური მოვლენაა. ამიტომ სახელმწიფო არ არის ის ღირებულება, რომლის ძლევამოსილებასაც ერი და საზოგადოება უნდა შეეწიროს, ანუ ჩვენს ქმნილებას შეეწიროს ის, რაც ჩვენში ბუნებისეულია, ღვთიურია.

კანონი შეზღუდვაა და არა – უფლება. როდესაც სახელმწიფო რაღაცის უფლებას გასცემს, ის ძალადობს; პიროვნების, ინდივიდის, ერის, საზოგადოების ორგანიზმში შეღწევით ცდილობს მათ დამორჩილებას. ეს ტოტალიტარიზმია. სახელმწიფოს აღზევებისთვის ერისა და საზოგადოების დაკნინება ბუნების საწინააღმდეგო ნაბიჯია. ძალაუფლება ვერ ეგუება ძალაუფლებაზე მაღალ ღირებულებას. ბოლშევიკები ამიტომ დევნიდნენ და ხოცავდნენ საზოგადოების გონიერ ნაწილს, სააკაშვილის ხელისუფლებამ ამიტომ დაუწყო დევნა საზოგადოებრივ გაერთიანებებს; მწერალთა კავშირს, კომპოზიტორთა კავშირს და სხვებს. იყენებდა მათ წინააღმდეგ სულგაყიდულ მწერლებსა და ხელოვანებას, ართმევდა ქონებას, ცდილობდა მათ დაშლას.

სახელმწიფო განზომილების მთავარი ღირებულებებია სამართლიანობა და უსაფრთხოება. კაცობრიობამ ამ ღირებულებების გამო შეიზღუდა კანონით თავი. ხელისუფლების არსი ის არის, რომ დაიცვას სამართლიანობა და უსაფრთხოება. უსაფრთხოება არ შეიძლება ვიწროდ იქნას გაგებული. ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას უსაფრთხოება განათლებაში, სპორტში; დაიცვას ფინანსური, ეკონომიკური, კულტურული უსაფრთხოება, ქვეყნის უსაფრთხოება გარე და შიდა მტრული ძალებისგან, ერის უსაფრთხოება – გადაშენებისგან, საზოგადოების უსაფრთხოება – პიროვნების შესაძლებლობათა ბოროტ გამოვლინებებისგან. შესაძლებლობების ორსახოვნება და ორბუნებოვნება დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანს. დემოკრატიული ლიბერალიზმი ცდილობს, მორალური პასუხისმგებლობა მოურღვიოს ადამიანს, რათა ის მთლიანად კანონმართული გახადოს. კანონი შეზღუდვაა. კაცობრიობამ თავი კანონით იმიტომ შეიზღუდა, რომ ადამიანის შესაძლებლობების ბოროტად გამოყენება აღკვეთილიყო. დღეს ხელისუფლებები თავად იქცნენ საფრთხედ, რადგან გამოხატვისა და თავისუფლების სახელით ადამიანის ბოროტ გამოვლინებებს წაახალისებენ. მათ არ ესმით არც გამოხატვისა და არც თავისუფლების არსი. სახელმწიფო ამოვარდნილია სახელმწიფოს იდეიდან და საკუთარი არსის ნგრევის პროცესშია. ეს კაცობრიობას ძალიან ძვირი დაუჯდება.

სამართლებრივი სივრცე დახვეწას ითხოვს. საერთაშორისო სამართალმა უნდა აღიაროს ერის სასიცოცხლო სივრცე, როგორც ღირებულება და მისი – სამსახოვნების ფაქტი, რაც ხელისუფლებების თავნებობებს შემდეგი მიმართულებებით გამორიცხავს:

1. ერისა და ეროვნული კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებაში.

2. „ეროვნული უმცირესობის“ დადგენაში, რისი დეფინიციაც საერთაშორისო სამართალში არ არსებობს (ერთი სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული ორი ერის სასიცოცხლო სივრციდან, რომელშიც მცირერიცხოვანი ერია, ისაა „ეროვნული უმცირესობა“.)

3. სახელმწიფოს საზღვრებში პოლიტიკური ან კულტურული ავტონომიის მინიჭების საკითხში (პოლიტიკური ან კულტურული ავტონომია სახელმწიფოში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ „ეროვნულ უმცირესობას“).

4.გენოციდის დადგენაში (ერის სასიცოცხლო სივრცეში ინდივიდთა ამოხოცვა ან ეროვნული კულტურის განადგურება არის გენოციდი. მსგავს დანაშაულს ერის სასიცოცხლო სივრცის გარეთ სხვა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს).

და სხვა...

ამავე დროს: სხვა ეროვნების ადამიანთა ჯგუფებს ჩავუკლავთ სურვილს, „ეროვნული უმცირესობის“ სახელით მიიტაცონ სხვა ერის სასიცოცხლო სივრცე, როგორც ამას დღეს ოსები საქართველოში რუსეთის დახმარებით აკეთებენ.

სასიცოცხლო სივრცე ეროვნული, კულტურული და სამართლებრივი სივრცეების გარეშე ცხოველის სასიცოცხლო სივრცეა. სიცოცხლის ბუნებრივი უფლება ცხოველსაც აქვს, რომელსაც ერთმანეთს კუჭის ამოსავსებად ართმევენ. თუ გვინდა, რომ პოლიტიკურ ცხოველებად არ ვიქცეთ და ერთმანეთი არ დავჭამოთ, ერის სასიცოცხლო სივრცე თავისი სამსახოვნებით უნდა ვაღიაროთ და დავიცვათ.



ჯუმბერ სარდლიშვილი

დავიცვათ ქართველი მამაკაცები პრასაჭირო მკურნალობისგან!

„ბევრ ადამიანს უდგინდება პროსტატის კიბო ძალზე ადრეულ სტადიაზე სკრინინგის მეშვეობით. იმდენად ადრეულ სტადიაზე, რომ ეს დაავადება არასოდეს გახდებოდა ადამიანის სიკვდილის მიზეზი, მაგრამ რაკი უკვე დგინდება კიბოს დიაგნოზი, იწყება მისი მკურნალობაც, ქირურგიულად თუ სხივური თერაპიით და ა.შ. მკურნალობის ეს მეთოდები ადამიანის ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვან გაუარესებასა და გართულებებს იწვევს. მაგალითად, სექსობრივად აქტიური მამაკაცი კარგავს პოტენციას და ენგრევა ოჯახი. ან შარდის შეუკავებლობა ემართება და პამპერსის ტარება უწევს, რაც მნიშვნელოვანწილად ასოციალურს ხდის მას და ა.შ. დაახლოებით სამი წელია, რაც ანტისკრინინგული კამპანია დაიწყო. ამერიკის სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია ჯარიმებსაც კი იყენებს იმ ექიმების მიმართ, რომლებიც არასაჭიროებისამებრ გამოიყენებენ პსა-ს ანალიზს. საჭიროა, ეს ცნობილი გახდეს ფართო საზოგადოებისთვის, რათა დაცული იყოს ქართველი მამაკაცი არასაჭირო მკურნალობისგან. ეს ჯანმრთელობის საკითხიცაა და ჯანდაცვის ბიუჯეტისაც!!! მეორეს მხრივ, ყურადღება გადატანილია შორსწასულ პროსტატის კიბოზე; მკურნალობის უფრო ეფექტური მეთოდების შემუშავებაზე“ — ასეთი მიდგომა აქვს პროსტატის კიბოს მიმართ „ემ-ემ-ტე ჰოსპიტალის“ წამყვან უროლოგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკურ პროფესორს, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატს გურამ ძარზანაშვილს, რომელიც ამის გამო უკვე, დიდი ხანია, იპყრობს უცხოელი კოლეგების ყურადღებას. რამდენიმე თვის წინათ ის ნიუ-იორკის უნივერსიტეტში მიიწვიეს, სადაც წაიკითხა ლექცია გავრცელებული პროსტატის კიბოს მკურნალობის შესახებ.

გურამ ქარაზანაშვილი ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფსთეით სამედიცინო უნივერსიტეტის უროლოგიის კათედრის გამგე, პროფესორ გენადი ბრატს ლავსკისთან ერთად.

— ჩვენ ამ კუთხით ნოვატორები ვართ, — აღნიშნა პროფესორმა, რომელიც უროლოგიაში და კერძოდ, „ემ-ემ-ტი ჰოსპიტალში“ მიმდინარე სიახლეებზე გვესაუბრება, — ზოგადად, პროსტატის კიბო მთელ მსოფლიოში დიდი პრობლემაა. სტატისტიკის მიხედვით, ეს დაავადება ყოველ მე-6 მამაკაცს ემართება. სწორედ ამის გამო იყო მოწოდებული სკრინინგული პროგრამები, თუმცა, უკანასკნელ პერიოდში ის მნიშვნელოვნად შეიზღუდა, რადგან ჰიპერდიაგნოსტიკამ ზედმეტი მკურნალობის ფაქტის წინაშე დაგვაყენა. ზედმეტი მკურნალობა კი გვერდით მოვლენებს იწვევს.

— ანუ თქვენი აზრით, სკრინინგი სრულებითაც არ არის საჭირო, თუკი ადამიანს ჩივილები არა აქვს? არადა, საზოგადოებას დიდხანს არწმუნებდნენ, რომ პრევენციას ჯანმრთელობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს... ახლა რა შეიცვალა?

— რუტინული სკრინინგი უკვე ბევრ ქვეყანაში აიკრძალა, მაგალითად აშშ-სა და ინგლისში. თუ ადამიანი მაღალი რისკის ქვეშ იმყოფება და დიდია შანსი, დაემართოს დაავადება, მაგალითად ოჯახური ისტორიის გათვალისწინებით ან სხვა, მაშინ სკრინინგი აუცილებელია, მაგრამ სხვა შემთხვევაში, უროლოგთან ვიზიტიც საკმარისია. ექიმი, პაციენტთან შეთანხმებით, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, გადაწყვეტს, სჭირდება თუ არა პაციენტს სკრინინგი. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ უროლოგები ადრეულ ფორმებზე სიმსივნეების გამოვლენაზე ვამახვილებთ ყურადღებას, მაგრამ უფრო შორსწასული კიბოს ფორმების მკურნალობა გვერდზე გვრჩება. არადა, აქ ზედმეტი მკურნალობა კი არა, პირიქით, გვაკლია ინსტრუმენტი, რითაც უნდა ვუმკურნალოთ. ის საშუალებები, რაც დღესდღეობით არსებობს, საკმარისი არ არის.

— თქვენი ინოვაცია რაში გამოიხატება. რას სთავაზობთ ტრადიციულ უროლოგიას?

— ჩვენი შეთავაზება ასეთია, რომ შორსწასული პროსტატის კიბოს შემთხვევაში მულტიმოდალურ მკურნალობაში: ეს იქნება ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, თუ დასხივება, ჩავრთოთ ქირურგია. ანუ ჯერ მოვაცილოთ სიმსივნის ძირითადი კერა ქირურგიული ჩარევით და შემდეგ გავაგრძელოთ მკურნალობა. ეს იძლევა უკეთეს შედეგს სიცოცხლის გახანგრძლივების თვალსაზრისით.

ჩვენ ამას რამდენიმე წელიწადია, ვახორციელებთ, ჩავატარეთ მნიშვნელოვანი კვლევები, მოვიძიეთ ძველი პუბლიკაციები, თეორიული ლიტერატურა ამერიკისა და ევროპის უროლოგიის წარსულიდან... 2-3 წლის წინათ გამოვაქვეყნეთ კიდეც სტატია უმაღლესი რეიტინგის სამეცნიერო ჟურნალში „ევროპის უროლოგია“. ჩვენი კვლევების შედეგები მოხსენებულია უმაღლესი რანგის საერთაშორიო სამეცნიერო კონგრესებზე, მაგალითად, ევროპის მულტიდისციპლინურ ონკოუროლოგიურ კონგრესზე ბარსელონაში 2013 წ, ევროპის უროლოგთა ასოციაციის კონგრესზე მადრიდში 2015წ და ა.შ.

— ხომ არ იყო შენიშვნები დასავლელი კოლეგებისგან; თუ თამამად ნერგავთ ასეთ მიდგომას?

— დღეისათვის მკურნალობის ჩვენეული პრაქტიკა გაზიარებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ, გამოიყენება გაიდლაინებში, პუბლიკაციებში, მაგრამ იქ ახლა იწყება ასეთი მიდგომა... თანაც, ჩვენ ამას ვახორციელებთ მკაცრად შეზღუდულად, პაციენტებთან პირდაპირი დისკუსიის შემდგომ, მათი გააზრებული თანხმობით. ვუხსნით, რომ გორია მკურნალობის სტანდარტული მეთოდი და ამის საპირწონედ ჩვენ რას ვთავაზობთ. ამ ოპერაციებს ვიყენებთ შერჩეულ პაციენტებთან, შედარებით ახალგაზრდა მამაკაცებში, რომელთაც აქვთ შორსწასული კიბო და პრაქტიკულად უსასოო მდგომარეობაში იმყოფებიან. ქირურგიული ჩარევის შემდეგ, მათ საგრძნობლად უხანგრძლივდებათ სიცოცხლე.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, თბილისში ჩავატარეთ კონფერენცია 2014 წელს, სადაც მოვიწვიეთ უროლოგიის მსოფლიო კორიფეები და ფართო აუდიტორიისთვის აბსოლუტურად ღია და ხელმისაწვდომი გახდა ეს ინფორმაცია. წელს, ამასთან დაკავშირებით კვლავ იგეგმება კიდევ ერთი საერთაშორისო, უმაღლესი რანგის კონფერენცია. ამ კონფერენციას კვლავ აფინანსებს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, რაც თავისთავად მიუთითებს კონფერენციის უმაღლეს სამეცნიერო ღირებულებაზე.

— რა რეაქცია ჰქონდათ ამერიკელი კოლეგებს ნიუ-იორკში თქვენს ლექციებზე?

— მათ, რა თქმა უნდა, იცოდნენ ამის შესახებ და სწორედ იმიტომაც მიმიწვიეს; იცოდნენ, რომ ჩვენ გვაქვს დიდი გამოცდილება შორსწასული კიბოს კომპლექსური მკურნალობის კუთხით. აქ იგულისხმება ქირურგია, ჰორმონოთერაპია, ქიმიოთერაპია და ა.შ. მათ გაიზიარეს, თუმცა, იყო უამრავი დეტალი, რაზეც მომიწია დაწვრილებით საუბარი.

— რამდენ ხანს დაყავით ამერიკაში?

— სამდღიანი ლექციების კურსი ჩავატარე. აპრილში უკუვიზიტი იქნება. ჩვენ კოლეგებს თბილისში ველოდებით. ვგეგმავთ, ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის დაარსებას. საერთაშორისო პანელის (ექსპერტების) მიერ განხორციელდება კონსულტაციები, მოხდება ერთობლივი დასკვნის დადება...

— უფრო კონკრეტულად, ეს რისთვის არის საჭირო?

— მაგალითად, ჩვენი თანამოქალაქეები ალტერნატიული აზრის გასაგებად უცხოეთში მიდიან, აინტერესებთ, რას ეტყვიან დიაგნოზთან დაკავშირებით საზღვარგარეთ. თუმცა, უცხოელი კოლეგები ჩვენს კომპეტენციას ენდობიან, გვაქვს ბრწყინვალე ურთიერთობა. თუკი საერთაშორისო ცენტრი შეიქმნება, ჩვენ ერთობლივად შევძლებთ პროფესიონალური დასკვნის გაკეთებას:. პაციენტი აქვე მიიღებს კომპეტენტურ პასუხს. ამასთანავე, ცენტრში ჩატარდება ერთობლივი სამეცნიერო კვლევები... იმედია, შევძლებთ უსწრაფესად ამ იდეის განხორციელებას.

— უროლოგიაში თუ არის ისეთი ოპერაცია, რომლის გამოც პაციენტი უცხოეთში წასვლას საჭიროებს?

— ნამდვილად არა! ჩვენს ჰოსპიტალში გვაქვს ყველა თანამედროვე ტექნოლოგია, უახლესი თაობის აპარატები და ხელსაწყოები დაწყებული დიაგნოსტიკით, რენტგენოლოგიური, ულტრაბგერითი თუ სხვა. ყველანაირი ტიპის ლაპაროსკოპია, ენდოსკოპია თირკმლის, შარდის ბუშტისა და პროსტატის დაავადებათა სამკურნალოდ... პაციენტებს ვთავაზობთ რევოლუციურ სამედიცინო ტექნოლოგიას. ჩვენთან პროსტატის ადენომის ამოკვეთა ხდება უსისხლო ოპერაციით — პროსტატის პლაზმა ვაპორიზაციის ანუ აორთქლების მეთოდით...

— ამერიკის უროლოგთა ასოციაციის გაზეთმა სპეციალური სტატია მიუძღვნა შარდის ბუშტის კიბოს ქირურგიულ გართულებებს. სადაც ვკითხულობთ, რომ „ეს ერთ-ერთი ურთულესი ოპერაციაა ონკოლოგიურ ქირურგიაში და მას ახორციელებს ამერიკელ უროლოგთა მხოლოდ 9 პროცენტი. ქართველ პაციენტებს ამ ოპერაციისთვის უცხოეთში გამგზავრება არ სჭირდებათ, რადგანაც ის წარმატებით ხორციელდება „ემ-ემ-ტი ჰოსპიტალში“. ეს უდავოდ აღსანიშნავია. და კიდევ ერთი წარმატების შესახებ მინდა, თავად უამბოთ მკითხველს...

— თქვენ, ალბათ, გულისხმობთ, ონკოუროლოგიაში მიღწეულ შედეგს. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ამ მიმართულებით. რაც, ბუნებრივია, ცნობილია ჩვენი დასავლელი კოლეგებისთვის. წელს ევროპის უროლოგთა ასოციაციის ონკოუროლოგთა ბორდის წევრად ამირჩიეს. ეს ძალიან ავტორიტეტული ორგანიზაციაა. მიწვეული ვარ ამ ორგანიზაციის კონგრესზე, რაც უდავოდ დიდი პატივია ჩემთვის, ჩემი კლინიკისთვის...

— და რა თქმა უნდა, ზოგადად ქართული უროლოგიისთვის, რაც უწინარესად, პაციენტების ჯანმრთელობის საწინდარია. წარმატებები!

ესაუბრა
თეა მოსია

პენტაგონში ისლამური სახელმწიფოს დამარცხებასთან სიახლოვის შესახებ განაცხადეს

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროში ამტკიცებენ, რომ ისლამური სახელმწიფო „ახლა ყველა მხრიდან ზემოქმედების ქვეშ იმყოფება“, მხედველობაში აქვთ, ალბათ, რომ ეს მოხდა პალმირის ტერორისტების დასუსტების გამო. ამავე დროს პენტაგონში დარწმუნებული არიან, რომ საბრძოლო წარმატებები ტერორისტული დაჯგუფებების განადგურებისათვის საკმარისი არ არის. საჭიროა აგრეთვე პოლიტიკური ნაბიჯებიც, აღნიშნეს უწყებაში.

ჩრდილოეთი კორეის ლიდერმა, რომელიც იმუქრებოდა გაეცამტვერებინა მანჰეტენი, ამერიკის ჰუმანიტარული დახმარება მიიღო

ორგანიზაციამ „იუჯინ ბელის სახელობის ფონდი“ „მიუხედავად კორეის ნახევარკუნძულზე დაძაბულობის კვლავ არსებობისა“, ჩრდილოეთ კორეაში ჩაიტანა „მედიკამენტები ტუბერკულოზისთვის სხვა მრავალ სამკურნალო საშუალებებთან ერთად“.

ისლამური სახელმწიფო ფოტომონტაჟის დახმარებით გერმანიას ემუქრება

სპეცსამსახურები აცხადებენ, რომ ინფორმაცია კონკრეტული ტერორისტული აქტების მომზადების შესახებ არ არის, მაგრამ გამოსახულებებს სწავლობენ სპეციალისტები. აღწერის შესაბამისად, ისინი უმთავრესად გაკეთებულია ისლამური სახელმწიფოს მომხრეების მისამართით.

„THE TIMES“: თურქეთი ხვრეტს სირიელ ლტოლვილებს, რომლებიც საზღვრის გადალახვას ცდილობენ

16 მიგრანტი, მათ შორის 3 ბავშვიც, დახოცეს თურქმა მესაზღვრეებმა უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში, როდესაც ლტოლვილები თურქეთში შედიოდნენ, წერს გამოცემა ლონდონში არსებული ადამიანის უფლებების ზედამხედველობის სირიის საბჭოზე მითითებით.

სსიპ – ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

აცხადებს ღია კონკურსს

შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად

I. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. მასალათმცოდნეობის განყოფილების უფროსი – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;
2. მეტალურგიული განყოფილების უფროსი – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;
3. ბორშემცველი და კომპოზიციური მასალების ლაბორატორიის უფროსი – 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;
4. ლითონური მასალების წნევით დამუშავების ლაბორატორიის უფროსი – 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;
5. პირომეტალურგიის ლაბორატორიის უფროსი – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;
6. ლითონმცოდნეობისა და ლითონების კოროზიისაგან დაცვის ლაბორატორიის უფროსი – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;
7. თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ლაბორატორიის უფროსი – 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;
8. ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორიის უფროსი – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;
9. არაორგანული მასალების ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორიის უფროსი – 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;
10. ლითონური ფხვნილებისა და დანაფარების ლაბორატორიის უფროსი – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;

კონკურსის პირობები

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:
1. დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
2. განყოფილების/ლაბორატორიის მიმართულების შესაბამისი მინიმუმ 10-წლიანი გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან აბეჭდონ PDF ფორმატში:

1. განცხადება (განცხდების ფორმა იხილეთ www.mmi.ge)
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ ან საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს / კვლევის უნარს;
7. სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;
8. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, კომერციალიზაციის პოტენციალი, საჭირო რესურსები და ა. შ.) – მხოლოდ მათთვის, ვისაც სურს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის უფროსის თანამდებობის დაკავება.
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
10. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კანდიდატს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი);

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ – ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე – ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №10, ოთახი №7 და 11 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2016 წლის 3 მაისიდან 10 მაისის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ www.mmi.ge, ან დარეკეთ ტელეფონზე 2372413; 577392762;

სამეცნიერო თანამდებობები:

1. ბორშემცველი და კომპოზიციური მასალების ლაბორატორია

- მთავარი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;
- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი – 2 (ორი) სრული საშტატო ერთეული;
- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) არასრული საშტატო ერთეული;

2. ლითონური მასალების წნევით დამუშავების ლაბორატორია

- მთავარი მეცნიერ თანამშრომელი – 2 (ორი) სრული საშტატო ერთეული;
- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;
- მეცნიერ თანამშრომელი – 3 (სამი) სრული საშტატო ერთეული;

3. პირომეტალურგიის ლაბორატორია

- მეცნიერ თანამშრომელი – 2 (ორი) სრული საშტატო ერთეული;

4. ლითონმცოდნეობისა და ლითონების კოროზიისაგან დაცვის ლაბორატორია

- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი – 2 (ორი) სრული საშტატო ერთეული;
- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) არასრული საშტატო ერთეული;
- მეცნიერ თანამშრომელი – 2 (ორი) სრული საშტატო ერთეული;
- მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) არასრული საშტატო ერთეული;

5. თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ლაბორატორია

- მთავარი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;
- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) არასრული საშტატო ერთეული;

6. ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორია

- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) არასრული საშტატო ერთეული;
- მეცნიერ თანამშრომელი – 3 (სამი) სრული საშტატო ერთეული;
- მეცნიერ თანამშრომელი – 2 (ორი) არასრული საშტატო ერთეული;

7. არაორგანული მასალების ქიმიური და ფიზიკურ - ქიმიური ანალიზის ლაბორატორია

- მთავარი მეცნიერ თანამშრომელი – 2 (ორი) სრული საშტატო ერთეული;
- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;

8. ლითონური ფხვნილებისა და დანაფარების ლაბორატორია

- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი – 2 (ორი) სრული საშტატო ერთეული;
- მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;

9. სამეცნიერო პროგრამების, ტექნოლოგიების კომერციალიზაციისა და გრანტების ცენტრი

- სამეცნიერო პროგრამებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების კომერციალიზაციის კოორდინატორი – მთავარი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;

10. სადნობ-საჩამომსხმელო უბანი

- სადნობ-საჩამომსხმელო უბნის უფროსი – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული

კონკურსის პირობები

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:
1. დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
2. სტრუქტურული ერთეულის მიმართულების შესაბამისი მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან აბეჭდონ PDF ფორმატში:

1. განცხადება (განცხდების ფორმა იხილეთ www.mmi.ge)
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია /CV
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ ან საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში; მეცნ. თანამშრომლებისთვის – ბოლო 3 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს / კვლევის უნარს;
7. სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი; მეცნ. თანამშრომლისთვის არ არის აუცილებელი;
8. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (მხოლოდ მთავარი და უფრ. მეცნ. თანამშრომლებისათვის);
9. განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები (მთავარი მეცნიერ თანამშრომელთათვის);
10. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კანდიდატს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ.ფოსტა, მისამართი);

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ – ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე - ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №10, ოთახი №7 და 11 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2016 წლის 3 მაისიდან 10 მაისის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ www.mmi.ge, ან დარეკეთ ტელეფონზე 2372413; 577392762;

◎ ჭიდაობა

ქართული კლასიკა რუსეთში

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე 23-წლამდელთა ნაკრების წევრებმა ბულგარულ რუსეთში თანატოლთა ევროპის ჩემპიონატის მეორე დღეს 4 წონითი კატეგორიიდან სამში ოქროს მედლებისთვის ფინალში იასპარეზეს, საბოლოოდ კი ზაზა ჯიბლაძის გუნდმა 2 „ოქრო“ და 1 „ვერცხლი“ დაისაკუთრა. ჩემპიონები გელა ბოლქვაძე (75) და იაკობ ქაჯაია (130) გახდნენ, ხოლო მეორეზე თორნიკე ჯანგავაძე (66) გავიდა.

ჩემპიონატზე ქართველმა „კლასიკოსებმა“ სულ 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედლით 63 ქულას მოუყარეს თავი და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე გასული უნგრელები ჩვენებს 20 ქულით ჩამორჩნენ. 38 ქულით მესამე ადგილი აზერბაიჯანელებს ერგოთ

გელა ბოლქვაძე 21-წლამდელებში მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონია, მანამდე კი ევროპის პირველობაც მოიგო. ბულგარულ ტურნირში ის მეორე წრიდან ჩაება: ჯერ ლიტველ მინდაუგას სურმაიტისს, მერე იტალიელ ლუკა დარიოზის 8:0 მოუგო. ნახევარფინალში უნგრელი ზოლტან ლევაი დაამარცხა, ფინალში შვედ ალექსანდროს-მიხაილ კესიდისს აჯობა და ჩემპიონობა მოიპოვა.

ქაჯაია მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე. მან ზედიზედ დაჯაბნა ლატვიელი ულდის გლაზინსი, გერმანელი კრისტიან ჯონი, რუსეთის სახელით მოასპარეზე ზურაბ გედეხაური, ფინალში უკრაინელ ვლადისლავ ვორონინს წუთნახევარში სძლია და პირველი ადგილი დაიკავა.

ჯანგავაძე ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტი გახლდათ. სტარტზე მან ფრანგ ჰრაჩია მალხაზიანს წმინდად მოუგო – 10:0. ასევე ვადამდე დაამარცხა შვედი ოსკარ სიმონ ერლანდსონი, სერბ მატე ნემესს 5:2 აჯობა. ნახევარფინალში გერმანელი სიმეონ ფატჰი დარუიში ჩამოიშორა გზიდან, გადამწყვეტი ორთაბრძოლა პოლონელ მატეუშ ბერნატეკთან დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა.

ლაშა დიდია

◎ ჭადრაკი

რუბიკონი გადალახეს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 73-ე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 12 მანდილოსანი წრიული სისტემით იბრძვის მედლებისთვის. უკვე გათამაშდა 6 ტური. ბოლო ტურში ანა გავაშელმა ბელა ხოტენაშვილი დაამარცხა, ხოლო მერი არაბიძემ ნინო ხომერიკს აჯობა. დაზავდნენ: ნინო ხურციძე-მირანდა მიქაძე, სოფიო გვეტაძე-სალომე მელია, ალექსანდრა ვახანია-სოფიკო ხუხაშვილი, მაია ლომინეიშვილი-ლელა ჯავახიშვილი. ექვსი ტურის შემდეგ 5 ქულით ჯავახიშვილი მეწინავეობს. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება მელია, 3.5 ქულით კი მესამე ადგილზეა ლომინეიშვილი. მომდევნო ადგილებზე მოდიან: გვეტაძე, ხუხაშვილი, ხურციძე, არაბიძე, ვახანია-3-3, მიქაძე-2.5, ხოტენაშვილი, გავაშელი-2-2, ხომერიკი-1.5 ქულა.

დღეს მე-7 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ხომერიკი-გავაშელი, ჯავახიშვილი-არაბიძე, ხუხაშვილი-ლომინეიშვილი, მელია-ვახანია, მიქაძე-გვეტაძე, ხოტენაშვილი-ხურციძე.

ლექსო ცინცაძე

◎ რაგბი

„ბორჯღალოსანთა“ სამხრეთული ტურნეს მსაჯები ცნობილია

ივნისის ტესტ-მატჩებზე საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მატჩებს ახალ ზელანდიელი და ინგლისელი მთავარი მსაჯები მოემსახურებიან.

11 ივნისს აპიაში საქართველოს ნაკრები სამოას ეთამაშება და მთავარი მსაჯი ზელანდიელი ბენ ოკიფი იქნება. ეს პროფესიით ოფთალმოლოგი ოკიფისთვის სადებიუტო საერთაშორისო შეხვედრაა. მას ასისტენტობას ავსტრალიელები ენდრიუ ლისი და ჯეიმს ლაკი გაუწევენ.

18 ივნისს „ბორჯღალოსნები“ სუვაში ტონგას ეთამაშებიან და რეფერი აქაც ზელანდიელი ნიკ ბრაიენი იქნება, რომელსაც ასისტენტობას ფრანგი პასკალ გუზე და სამოელი ფაავაე ნერუ გაუწევენ.

25 ივნისს სუვაში საქართველო ფიჯის ხვდება და მთავარი მსაჯი ინგლისელი ჯი-პი დოილია, რომელსაც კიდეებიდან ჩვენთვის ცუდად ნაცნობი ირლანდიელი ჯორჯ კლენსი და ავსტრალიელი ჯეიმს ლაკი დაეხმარებიან.

უელსელი ნაიჯელ ოუენსი ივნისში ორ ტესტ-მატჩს იმსაჯებს – 11 ივნისს სუვაში ფიჯი-ტონგას და 25-ში სიდნეიში ავსტრალია-ინგლისს, რითაც მისი ნამსაჯი მატჩების რაოდენობა 70 გახდება და გაუტოლდება რეკორდსმენს, სამხრეთაფრიკელ ჯონათან კაპლანს. ნაიჯელმა პირველი საერთაშორისო შეხვედრა 2003 წელს იმსაჯა ლისაბონში პორტუგალიასა და საქართველოს ნაკრებებს შორის. ოუენსმა ექვსი ერის 16 შეხვედრა იმსაჯა, 12-12 შემთხვევაში იყო რეფერი მსოფლიო თასისა და სამი ერის მატჩებისას, შარშან კი მსოფლიო თასის ფინალი ანდეს: „მოუთმენლად ველი ფიჯიზე გამგზავრებას, რადგან იქ აქამდე არასდროს მიმსაჯია“ – ამბობს ნაიჯელი.

გიორგი შოთაძე

◎ სამთო თხილამურები

საბოლოო შედეგები შეჯამდა

საქართველოს სათხილამურო ფედერაციამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, კომპანია „სილქნეტისა“ და მთის კურორტების განვითარების კომპანიის მხარდაჭერით გამართა სამთო მოთხილამურეთა საქართველოს 2016 წლის თასის გათამაშების ხუთი ეტაპი, რომელშიც მედლებისთვის მესტიის, ბაკურიანის, აჭარისა და გუდაურის სამოცამდე წარმომადგენელი იბრძოდა. მათ შორის იყო ფერეიდნელი ქართველი გოგონა ანაჰიტა რაჰიმი, რომელმაც გუდაურში სპეციალური სლალომი მოიგო. ხუთი ეტაპის შედეგებით გოგონათა და ვაჟთა შორის წლის საუკეთესოები და პრიზიორები სამ ასაკში გამოვლინდნენ.

გოგონები

2002-2003 წლებში დაბადებულნი. 1. ნინო კურტანიძე (ბაკურიანი, 225 ქულა), 2. მარი პაქსაძე (აჭარა, 132), 3. ანუკი ჩოგაძე (აჭარა, 126). **2000-2001 წ.წ.** 1. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 190), 2. კატო გოცირიძე (თბილისი/გუდაური, 155), 3. ანა ჩართოლანი (სვანეთი, 120). **1999 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. მარიამ ჭკადუა (სვანეთი, 175), 2. სალომე კვიციანი (სვანეთი, 55), 3. ანაიტა რაჰიმი (ისპაჰანი), მარიამ ხუციშვილი (თბილისი, 40-40 ქულა).

ვაჟები

2002-2003 წ.წ. 1. ნოდარ კოზანაშვილი (ბაკურიანი, 175), 2. ავთო ჯაფარიძე (სვანეთი, 115), 3. სანდრო ჩინჩალაძე (ბაკურიანი, 92), **2000-2001 წ.წ.** 1. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 200), 2. დათო ნაზღაიძე (გუდაური, 105), 3. ლევან ბოგიშვილი (ბაკურიანი, 96), **1999 წ.** 1. თენგო მეხეშიძე (აჭარა, 143), 2. ანზორ ჯაფარიძე (სვანეთი, 110), 3. ლაშა მეხეშიძე (აჭარა, 106).

გივი გაგუა

სურათზე: ლაშა კურტანიძე ასპარეზობისას.

◎ ქველმოქმედება

შენ გვერდით ვართ, „დევა“

თბილისის ახალ სპორტის სასახლეში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ფეხბურთის ფედერაციისა და საინიციატივო ჯგუფის ძალისხმევით გაიმართა საქველმოქმედო მატჩი საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარის აკაკი დევაძის მხარდასაჭერად.

ვეტერანმა ფეხბურთელებმა სპორტული ჟურნალისტების, სპორტსმენების, სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელების და მსახიობ-მუსიკოსთა გუნდს 14:5 სძლიეს. საქველმოქმედო შეხვედრაში ვეტერანთა შორის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა, ეროვნული გუნდის ექს-კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ, ლევან ცქიტიშვილმა, ოთარ ხიზანეიშვილმა, ირაკლი ზოიძემ, მამუკა მაჭავარიანმა და ოთარ გაბელიამ ითამაშეს, მეტოქე გუნდში კი მსოფლიოს ჩემპიონმა ჭიდაობაში, საქართველოს 2015 წლის საუკეთესო სპორტსმენმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა, მსახიობმა ბესო ბერულაშვილმა, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქევხიშვილმა, ასევე საფეხბურთო ჟურნალისტებმა.

აკაკი დევაძეს ღვიძლზე გადაუდებელი ოპერაცია სჭირდება და რადგან ოპერაცია თურქეთში უნდა გაკეთდეს, მკურნალობა სოლიდურ თანხასთანაა დაკავშირებული. ვეტერანი მოთამაშის დასახმარებლად საქართველოს ბანკში გახსნილია სპეციალური ანგარიში. თანხის ჩარიცხვა ყველა მსურველს შეუძლია:

საქართველოს ბანკის კოდი: BAGAGE 22

მიმღების ანგარიშის ნომერი: GE52BG0000000692294500

ხაზგასასმელია, რომ აკაკი დევაძის სამკურნალოდ დახმარება გაიღეს ძიუდოს, კალათბურთის, ძალოსნობის და ხელბურთის ეროვნულმა ფედერაციებმა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ფეხბურთის ფედერაციამ, ასევე ვეტერანმა ფეხბურთელებმა.

აკაკი დევაძე დღემდე ერთადერთი მეკარეა, რომელმაც საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიპოვა. ეს 1995 წელს მოხდა, როცა იმხანად რუსეთის „როსტსელმაშის“ მოთამაშემ გაზეთ „სარბიელის“ გამოკითხვაში გაიმარჯვა.

აკაკი დევაძემ ეროვნულ გუნდში ოცჯერ ითამაშა: პირველად 1992 წლის 2 სექტემბერს ლიტვის ნაკრების წინააღმდეგ, უკანასკნელად კი – 2005 წლის 30 მარტს თურქეთთან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ჯოკოვიჩმა ბერდიხის ბარიერი იოლად გაიარა

მაიამის მასტერსის მეოთხედფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩმა ტომაშ ბერდიხი იოლად 6:3, 6:3 დაამარცხა. შეხვედრა საათსა და 41 წუთს გაგრძელდა. „ნოლემ“ 2 ეისი ჩააწოდა და 10 შესაძლებლიდან 4 ბრეიკი შეასრულა. ბერდიხმა ვერც ერთი ეისი ვერ მოაწოდა და 5 ორმაგი შეცდომა დაუშვა.

ტურნირის ნახევარფინალში სერბი ბელგიელ დავიდ გოფინს შეხვდება. ურთიერთშეხვედრებში ნოვაკი გოფინს 3:0 ამარცხებს.

მაიამის მასტერსის საპრიზო ფონდი 6 844 139 მილიონს შეადგენს.

კობა კობახიძე

გახდით ბარმენი, ან – გიდი, ან – ზეინკალი, ან – კალატოზი...

ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები

დასაძმება საქართველოში ყველაზე მტკივნეულ და მოუგვარებელ პრობლემად რჩება. საქართველოს მთავრობამ საკითხის შესწავლა სპეციალური კვლევის მეშვეობით დაიწყო და შედეგებიც გამოაქვეყნა.

„შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის თვისებრივი კვლევის“ საფუძველზე მეტ-ნაკლებად დადგინდა, თუ რომელია მოთხოვნადი პროფესიები საქართველოში. ბარმენი, გამყიდველ-კონსულტანტი, გიდი, ზეინკალი, კალატოზი ყველაზე მოთხოვნად პროფესიებს შორის ლიდერობენ. ამ ხელობის ადამიანებს ქართულ შრომით ბაზარზე დასაქმების ყველაზე მეტი შანსი აქვთ.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგადაც გამოიკვეთა ის პროფესიები, რომლებიც კადრების ნაკლებობას ყველაზე მეტად განიცდიან.

ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს ხელმძღვანელი გიორგი გამყრელიძე ამბობს, რომ სახელმწიფო ამ კვლევის საფუძველზე ერთიან საინფორმაციო ბაზას შექმნის, სადაც სამუშაოს მაძიებელს, დამსაქმებელს და ყველა დაინტერესებულ პირს ექნება შრომით ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალება.

„შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კლევა“ 2015 წელს ჩატარდა. კვლევა იყო რეპრეზენტაბელური, რადგან მოიცვა საქართველოს 11-ვე რეგიონი. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დასაქმების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 1%-ით გაიზარდა. რაც არცთუ ისე დიდია. ბოლო 12 თვის განმავლობაში დასაქმების მაჩვენებელი გაიზარდა 49 ათასი ერთეულით, ანუ შეიქმნა 49 ათასი სამუშაო ადგილი, შემცირდა 40 ათასი სამუშაო ადგილი. ანუ სხვაობამ 1% შეადგინა. შრომით ბაზარზე ყველაზე მეტი ორგანიზაცია წარმოდგენილია ვაჭრობის სექტორიდან, 24 ათასი სუბიექტი. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი დამსაქმებელი უჩივის კადრების კვალიფიკაციას“, — აღნიშნა გიორგი გამყრელიძემ.

ჯანდაცვის სამინისტრომ იმ პროფესიათა ნუსხაც გამოაქვეყნა, რომლებზეც სახელმწიფო სამუშაოს მაძიებლებს სთავაზობს მოკლევადიან მომზადება-გადამზადებას:

ავტომობილის დიაგნოსტიკოსი; ავტომობილის ზეინკალი; ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი; ამწის მემანქანე; ბარმენი; ბაღის დიზაინერი; ბუღალტერი; გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟე; გამყიდველ-კონსულტანტი; გიდი; დურგალი; ელექტრიკოსი; ელექტრომექანიკოსი და ა.შ.

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, მთავრობას აქვს გეგმა, როგორ დაეხმაროს სამუშაოს მაძიებლებს. „ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში დასრულდა შრომის ბაზრის კვლევა, გამოიკვეთა სუსტი წერტილები თუ რა არის ხელისშემშლელი ფაქტორები იმისთვის, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდნენ სამუშაოს მაძიებლები. ხშირად დამსაქმებლისთვის კვალიფიკაცია არასაკმარისია. გამოიკვეთა მოთხოვნადი პროფესიები და მთავრობას აქვს გეგმა, თუ როგორ დაეხმაროს სამუშაოს მაძიებლებს, რომ გადამზადნენ, შეიძინონ ახალი პროფესიები და გახდნენ მოთხოვნადი ბაზარზე, გარდა ამისა, დავეხმაროთ დამსაქმებლებთან კომუნიკაციაში“, — განაცხადა სერგეენკომ.

მისი თქმით, რეფორმის სტრუქტურა საკმაოდ რთულია, თუმცა ხელისუფლებამ უკვე იცის, თუ რა არის მოთხოვნადი პროფესიები.

ბექა დანელია

ჯიმი მიქელაძის მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბატონი ჯიმის ძმა, შესანიშნავი პიროვნება და მოქალაქე

მურთაზ მიქელაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

მაგდა პაპიძე პატიმრობაში რჩება

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ბადრი შონიამ მაგდა პაპიძე პატიმრობაში დატოვა. მან არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა პაპიძისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეცვლის შესახებ. მოსამართლის თქმით, კვლავაც არსებობს მიმალვის და მტკიცებულებების განადგურების საფრთხე, მის ამ მოსაზრებას კი დაცვის მხარე არ ეთანხმება. მაგდა პაპიძის ადვოკატი მიიჩნევს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის პატიმრობაში დატოვების საფუძველი აღარ იყო — „ერთადერთი, სადაც შეიძლება მაგდა პაპიძე მივიდეს, ეს არის მისი შვილის საფლავი. შესაბამისად, ვშუამდგომლობთ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე“, — განაცხადა სასამართლო პროცესზე ადვოკატმა.



◎ სათამაშო ბიზნესი

„ბედი თუ გწყალობთ, კარგია მაგრამ ხომ იცით, ბატონო, იგი მაცდური ქალია...“

აზარტული **თამაშები რომ აუარება უბედურების სათავეა, ქვეყნიერებისათვის ძველი ამბავია, მაგრამ მისმა მასშტაბებმა უსაშველოდ გამსხვილება მე-19 საუკუნის მიწურულიდან დაიწყო, დღესდღეობით კი არნახულ სიდიდეებს მიაღწია. აზარტული თამაშების ინდუსტრიის მესვეურნი ყველა ღონეს ხმარობენ საიმისოდ, რომ რაც შეიძლება მეტმა ხალხმა „სცადოს ბედი“ — ბანქოს ამა თუ იმ თამაშში, ზარის გაგორებაში, რულეტკის ბურთულაკის ტრიალში, თუ „ცალხელა ბანდიტებად“ ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში წოდებულ სათამაშო აპარატებთან. მოთამაშეთათვის კაზინოებში ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ კაცი რეალობას სრულად მოწყდეს და მხოლოდ აზარტით ისულდგმულოს — ესაა უფასო გამაგრილებელი თუ მაგარი სასმელები, ასევე ყავა და ჩაი, სიგარეტი, ბუტერბროდები, უფანჯრო კედლები თუ უსაათობა...**

ლუდომანები ანუ აზარტული თამაშების თავგადადებული მოყვარულები ბოლო დროს საქართველოშიც იმდენად მომრავლდნენ, რომ ამან უკვე კარგა ხანია, კერძოდან სოციალური პრობლემების სფეროში გადაინაცვლა, რასაც ის გარემოებაც უაღრესად ამძაფრებს, რომ აზარტული თამაშები ონლაინ-რეჟიმში უკლებლივ ყველასათვის, მათ შორის, არასრულწლოვანთათვისაც სავსებით ხელმისაწვდომია. არსებული **სტატისტიკით, საქართველოში ამ გზით აზარტული თამაშებით ყოველდღიურად „თავს იქცევს“ 400 ათასი კაცი (!). თან ისიც საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ამაზე, პრაქტიკულად, არავითარი კონტროლი არ არის დაწესებული.**

◎ ბრუნავს კამათელი...

ინტერნეტით ონლაინ-თამაშების გავრცელებას და მასშტაბის ზრდას ამ სფეროში თანხების ბრუნვის ოფიციალური მონაცემებიც მოწმობს: თუ 2011 წელს ეს იყო „მხოლოდ“ 366 მილიონი ლარი, 2012 წელი ეს თანხა ორნახევარჯერ გაიზარდა, 996 მილიონი ლარი შეადგინა, 2013 წელს — მილიარდ 213 მილიონი ლარი, 2014 წელს კი 2 მილიარდს გადასცდა...

ონლაინ-თამაშების პრობლემა ისეთ ჭირად ექცა საქართველოში უამრავ ოჯახს, რომელთაგან ბევრი თითქმის გაანადგურა, რომ ამან ხელისუფლების დიდი აღშფოთება გამოიწვია, თუმცა კი მთლიანად სათამაშო ბიზნესის მკაცრ ჩარჩოებში მოქცევის მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები ადრეც იდგმეოდა, რის შესახებ ჩვენ ვწერდით კიდეც.

ინტერნეტ-კაზინოების საკითხის დაწვრილებით განხილვისა და რეგულაციების შემოღებას აუცილებლობასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** განაცხადა, რომ ამ საქმეში საჭიროა უმკაცრესი ჩარჩოების შემოღება.

ამდენად, იმედია, ეს რეგულაციები ახლო მომავალში შემუშავდება და დაკანონდება, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ უაღრესად მტკივნეული პრობლემის გადაჭრაზე არასამთავრობო სექტორშიც სათანადოდ ზრუნავენ. კერძოდ, ახალგაზრდა ფინანსტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ ცოტა ხნის წინათ აზარტული თამაშების სფეროში გარკვეული შეზღუდვების შემოღებისა და ფინანსურ მხარეში მაქსიმალური გამჭვირვალობის დამკვიდრების კონცეფცია წარადგინა, რადგან **ფულის ნაკადების ბრუნვა, ფაქტობრივად, არანაირ იდენტიფიკაციას არ ექვემდებარება. ამასთან, რეალურად მოქმედ სამორინეებში დაწესებული არ არის წაგების ლიმიტი, აუცილებელია რეზიდენტ ფიზიკურ პირთათვის მოთამაშის სტატუსის მინიჭება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მოთამაშეთა რეესტრში უნდა იყოს რეგისტრირებული, შესაბამისი მოსაკრებელიც უნდა გადაიხადოს და სხვა.** ორგანიზაციის სარეკომენდაციო პაკეტში რამდენიმე მთავარი მიმართულებაა განსაზღვრული, რომლებიც, როგორც ცნობილი გახდა, ახლო მომავალში საკანონმდებლო ინიციატივის სახეს მიიღებენ.

უფრო კონკრეტულად კი, საუბარია იმის თაობაზე, რომ **შემოსავლების სამსახურის ბაზაზე უნდა შეიქმნას აზარტული თამაშების ერთიანი რეესტრი, რის შემდეგ მოთამაშეს სპეციალური კოდი მიენიჭება, რომელიც შექმნის მისი იდენტიფიცირების შესაძლებლობას; მოთამაშედ დარეგისტრირების შემდეგ ფიზიკურ პირს უნდა დაუწესდეს წლიური მოსაკრებელი 1200 ლარი; შემოსავლების სამსახურის ბაზაზე საგანგებო პროგრამის შექმნა, სადაც ხელმისაწვდომი იქნება მონაცემები მოთამაშეთა რეესტრში რეგისტრირებულ პირთა ტრანზაქციების შესახებ. პროგრამა ადაპტირებული უნდა იყოს ყველა ლიცენზირებულ ვებ-გვერდთან, რომლებიც აზარტული თამაშების ორგანიზებას ეწევიან; შემოსაღები იქნება წაგების ლიმიტი, რისთვისაც მოთამაშედ რეგისტრირებისას პირმა საკუთარი შემოსავლის დეკლარირება უნდა მოახდინოს, რაც მისთვის თვეში წასაგები თანხის ზედა ზღვარს განსაზღვრავს, ვთქვათ, ყოველთვიური შემოსავლის 30 პროცენტის ოდენობით. რაც შეეხება დამადასტურებელი შემოსავლის არამქონე პირებს, მათთვის წაგების ლიმიტი თვეში 100 ლარით ამოიწურება; სამორინეებისა და მსგავსი სათამაშო კლუბებისთვის უნდა დაწესდეს სპეციალური ლოკაციები (ანუ ადგილსამყოფლები), რაც მათ დიდი დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით, სპეციალურ ზომებში გატანას გულისხმობს, თუმცა კი ეს კონკრეტული რეგულაცია არ შეეხება იმ სივრცეებს, სადაც სათამაშო სახლები უკვე მოქმედებენ და გარკვეული შეღავათებითაც სარგებლობენ და ა.შ.**

აღნიშნული ინიციატივის ავ-კარგს და მისი დებულებების დაკანონების შემთხვევაში ეფექტიანობის რეალურ პერსპექტივებზე ახლა მსჯელობა, ვფიქრობთ, ერთობ ძნელია რამდენიმე სავსებით კონკრეტული გარემოების გამო. **ერთი რომ მოქმედ სამოქალაქო კოდექსში საკმაოდ ბევრი შესწორება იქნება შესატანი, მეორე ის გახლავთ, რომ ეს, როგორც ჩანს, პირადი თავისუფლების შეზღუდვად შეიძლება იყოს აღქმული, მესამე კი ისაა, რომ სათამაშოს ბიზნესს საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, ძალიან ძლიერი ლობი ჰყავს სახელმწიფო მართვის უკლებლივ ყველა დონეზე.**

ამდენად, როგორი იქნება ამ საკანონმდებლო ინიციატივის მომავალი, ამას დრო გვაჩვენებს, თუმცა კი, აზარტული თამაშების სფეროში რეგულაციები რომ შემოსაღებია, დარწმუნებული ვართ, საზოგადოებაში არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ოთარ ტურაბელიძე

2015 წელს უფრო მეტი ბიჭი დაიბადა, ვიდრე გოგო

საძსტატის ცნობით, 2015 წელს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ შეადგინა 59 249 (30 902 ბიჭი და 28 347 გოგო) რაც წინა წელთან შედარებით 2,3 პროცენტით ნაკლებია.

2008 წლიდან ცოცხლად დაბადებულთა რიგითობის განაწილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. კერძოდ, დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში გაიზარდა მესამე და მომდევნო შვილების წილი, პირველი შვილის წილი კი შემცირდა, ხოლო მეორე შვილის წილი თითქმის უცვლელი დარჩა. ეს ტენდენცია 2015 წელსაც გაგრძელდა და წინა წელთან შედარებით პირველი შვილის პროცენტული წილი 1,8 პუნქტით შემცირდა, მესამე და მომდევნო შვილის წილი 1,8 პუნქტით გაიზარდა, ხოლო მეორე შვილის წილი უცვლელი დარჩა.

წინა წელთან შედარებით 2015 წელს დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 25 წლამდე ასაკის დედების მიერ შობილი ბავშვების წილი 40,7 პროცენტიდან 38,8 პროცენტამდე შემცირდა.

2015 წელს დედის საშუალო ასაკმა პირველი ბავშვის დაბადებისას 25,0 წელი შეადგინა.

2015 წელს გარდაცვლილთა რიცხოვნობა 2014 წელთან შედარებით 0,7 პროცენტით გაიზარდა და 49 121 შეადგინა.

გარდაცვლილთა სქესობრივ-ასაკობრივმა სტრუქტურამ განიცადა მცირეოდენი ცვლილება.

ყველაზე დიდი პროცენტული მატება დაფიქსირდა 65-69 და 85 და მეტი წლის ასაკობრივ ჯგუფებში როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალებისთვის. ყველაზე დიდი პროცენტული კლება კი ორივე სქესისათვის დაფიქსირდა 70-74 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

ჩვილთა მოკვდავობის კოეფიციენტმა (1 წლამდე გარდაცვლილთა რაოდენობა 1 000 ცოცხლად დაბადებულზე) 2015 წელს 8,6 პრომილე შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 0,9 პუნქტით ნაკლებია.

5 წლამდე გარდაცვლილთა კოეფიციენტი 1 000 ცოცხლად დაბადებულზე 2014 წელთან შედარებით 0,7 პუნქტით შემცირდა და 10,2 პრომილე შეადგინა.

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

ერთი მხრივ და მეორე მხრივ

ამერიკელმა სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ რთული ემოციები გრძნობების სიღრმესა და ძალას მოწმობს.

იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთ კულტურაში შერეული ემოციები არამტკიცე ხასიათის ნიშნადაა მიჩნეული, მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სწორედ ისინი მოწმობენ პიროვნების სიღრმისეულობას.

მკვლევარებმა ერთმანეთს შეადარეს რთული განცდებისადმი დასავლეთ და აღმოსავლეთ ქვეყნებში დამოკიდებულება და გაირკვა, რომ პიროვნებაზე ორიენტირებული კულტურების ქვეყნებში (მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, სხვაგან) ადამიანები, მთლიანობაში, ნაკლებად რთულ ემოციებს განიცდიან. მოვალეობასა და ოჯახურ ფასეულობებზე ორიენტირებულ ქვეყნებში კი (მაგალითად, აზიაში, კავკასიაში და ა.შ.) ხალხი უფრო რთულ გრძნობებს ავლენს.

სოციალურად ორიენტირებულ კულტურებში ადამიანებს სხვადასხვა პერსპექტივების დანახვის უნარი აქვთ. მაგალითად, სამუშაოს დაკარგვას ისინი არა მარტო წარუმატებლობად, არამედ, ვთქვათ, ოჯახში უფრო მეტი დროის გატარების შესაძლებლობადაც განიხილავენ, ხოლო პირადული წარმატების მიღწევაზე ორიენტირებული კულტურების წარმომადგენლები ამ ვითარებას ცალსახად უარყოფითად აფასებენ.

◎ კაკალ გულში

ისექსავეთ ჩადრებში, რომ ვერ გიცნოთ კადრებში...

● პროკურატურაში რომ იბარებენ იმ ადამიანებს, ვისაც ფარული ჩანაწერები გაუგზავნეს, რას ეკითხებიან – ვისზე გაქვთ ეჭვიო თუ შინაარსს აყოლინებენ?

● ჰელოოუ დოლი – განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

● ნანუაშვილსა, უჩასო,
ნიფხავი აღარ უჩანსო,
რაც გრანტის შოვნა ისწავლა,
მას შემდეგ არა უშავსო.

● რესპუპსიკელებმა: თუ კოალიციიდან გაგვიშვებთ, ბიძინამ უნდა გვიშვილოს,თორემ არჩევნებში კენჭს და მახათს ნაცებთან ერთად გავიყრითო!!!

● რესპეპო, ოღონდ არ გადაიფიქროთ და ჯანდაბას ჩემი ერთი ხმა, თქვენთვის მომიცია! (დანარჩენები არ ამყვეთ!!!)

● არჩევნების შემდეგ თინა ხიდაშელს ნატოს მთავარსარდლად ნიშნავენ.

● შენი ჩადებული ნაღმები დღესაც ფეთქდება, მიხეილ, შენი დაყოფილი ხალხი დღესაც ემტერება ერთმანეთს. შენით გაპარტახებული ქვეყანა დღესაც ინგრევა. შენით შავებში შემოსილი დედები, დები და ცოლები დღესაც შავებს ატარებენ. რა გააკეთე ამისთანა, რისთვის გემადლიერებიან დასავლეთში? შენ პატრიოტი იყავიო თურმე, პატრიოტი კი არა ბოღმიანი, ბოროტი პარანოიდული დემონი იყავი – დასასრულის დასაწყისი იყავი შენ. შენი მიმდევრები კი სექტანტები და პედერასტები არიან!

● ისექსავეთ ჩადრებში,
რომ ვერ გიცნოთ კადრებში!!!

● გუშინ შედგა გოგა ხაჩიძის და ჯოზეფ დოლის შეხვედრა. გოგა ხაჩიძეს სულმა წასძლია და დოლზე დაუკრა!

● ეს სახელისუფლებო კულუარები რა ადგილას არის?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.



სირბილი თუ სიცილი?

კაცი, რომელიც ბევრს იცინის, ისეთივე ჯანმრთელია, როგორც ის, რომელიც რეგულარულად ვარჯიშობს, მიაჩნიათ კალიფორნიელ მეცნიერებს.

მათ მოხალისეები ორ ჯგუფად დაყვეს – პირველის წევრები რამდენიმე კვირის მანძილზე ყოველდღე 20 წუთის განმავლობაში კომედიურ ფილმებს უყურებდნენ, მეორის წევრები – დრამატულებს. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ მათში, ვინც რეგულარულად იცინოდა, გულის სისხლძარღვთა დაავადების საფრთხე 40 პროცენტით ნაკლები იყო იმათთან შედარებით, ვინც დრამატულ ფილმებს უცქერდა.

სპეციალისტები ამას იმით ხსნიან, რომ 30 წუთის სიცილი სისხლში სტრესის ჰორმონის კორტიზონის შემცველობის დონესა და არტერიულ წნევას ამცირებს. სწორედ ეს შედეგი მიიღწევა რეგულარული ვარჯიშით და სირბილით.

◎ ციცცხალი ანეკდოტები

სამხარეო რწმუნებულს საფულე საავადმყოფოში დარჩა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა საბიუჯეტო თანხები მთლიანად მოხვდა სამედიცინო დაწესებულებაში.

* * *

– საყვარელო, უკვე თითქმის წელიწადია ერთად ვართ და მინდა ვიცოდე, როდის იტყვი შენს აზრს? – ეუბნება გოგო ბიჭს.

– ახლავე, შენი ჭირიმე, ჩემი აზრით, დროა, ერთმანეთს დავშორდეთ...

* * *

– ჩემი ქმარი ალკოჰოლიკი იყო და ექიმ მაიროვს მივუყვანე. – ეუბნება დაშა თავის დაქალს.

– მერე?

– ახლა მაიროვიც ალკოჰოლიკია.

* * *

– ხომ არ იცი, როგორ და რისთვის შეიძლება ძველი მონიტორის გამოყენება? ის მგონი, არ მუშაობს, მაგრამ გადასაგდებად მენანება.

– გენანება, არა! მიიტანე ნაგვის კონტეინერთან და დაივიწყე.

– რას ამბობ! სწორედ იქიდან მოვიტანე ახლახან...

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.374; ევრო - 2.660;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.389;
100 რუბლი - 3.461; თურქული ლირა - 0.827;
აზერბაიჯანული მანათი - 1.516;
1000 სომხური დრამი - 5.934

ამინდი 1 აპრილისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +1, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე -3, დღე +10
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +0, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +5
თბილისი: ღამე +4, დღე +11

ჩვენი მისამართია:
თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE